



NATIONAL CENTER FOR  
EDUCATIONAL QUALITY  
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო  
პროგრამების კლასტერის შესახებ

ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა  
ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის  
ქართული უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 2026 წლის 16 - 17 თებერვალი

დასკვნის წარდგენის თარიღი: 2026 წლის 27 მარტი

თბილისი

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205233022
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	სეიფედინ კადრი, ლიბანის ამერიკული უნივერსიტეტი (LAU), ლიბანი, ნოროფის უნივერსიტეტი, ნორვეგია
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	მაგდა ცინცაძე, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	თამთა ლევიშვილი, შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია/ქვეყანა)	გიორგი მხეიძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ქართულად	ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება	ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ინგლისურად	Information Technologies and Cybersecurity	Information Technologies and Cybersecurity
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ბაკალავრი	ინფორმაციული ტექნოლოგიების უსაფრთხოების ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება, 0612	მონაცემთა ბაზებისა და ქსელების დიზაინი და ადმინისტრირება, 0612
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>1</sup>		
სწავლების ენა	ქართული	ინგლისური
ECTS კრედიტების რაოდენობა	240	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	ახალი

<sup>1</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

კლასტერში წარმოდგენილი ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები ახალია და შეესაბამება უმაღლესი განათლების ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებს. თითოეული პროგრამა არის ოთხწლიანი უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც მოიცავს 240 კრედიტს და კურსდამთავრებულს ანიჭებს მეცნიერების ბაკალავრის აკადემიურ ხარისხის საქართველოს კანონმდებლობის და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო პრინციპების შესაბამისად.

ორივე პროგრამის სასწავლო გეგმა სტუდენტებს უზრუნველყოფს ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ყოვლისმომცველი და დაბალანსებული ცოდნით, რომელიც აერთიანებს ზოგად, სპეციალიზებულ, არჩევით და თავისუფალ არჩევანით კომპონენტებს.

ზოგადი კომპონენტი შეადგენს 33 კრედიტს და მოიცავს საუნივერსიტეტო კურსებს, რომლებიც ავითარებენ ტრანსფერულ უნარებს. ქართულენოვან პროგრამაში ტრანსფერული უნარების განმავითარებელი საგნებია თანამედროვე საოფისე ტექნოლოგიები, ქართული ენა აკადემიური მიზნებისთვის და ინგლისური ენა B2 დონეზე. აღნიშნული საგნების მიზანია სტუდენტს განუვითაროს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები, უცხო ენის ცოდნა და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების წიგნიერება. ანალოგიურად, ინგლისურენოვანი პროგრამის ზოგადი კომპონენტი ორიენტირებულია სტუდენტების კომუნიკაციის უნარების და უცხოური ენის ცოდნის განვითარებაზე, რაც აძლიერებს ინტერნაციონალიზაციას და დასაქმების პერსპექტივებს.

ორივე პროგრამის სპეციალიზაციის სავალდებულო კომპონენტი შეადგენს 147 კრედიტს, რომელიც მოიცავს 135 კრედიტის დარგობრივ კურსებს, 6 კრედიტის პრაქტიკულ პროექტს და 6 კრედიტის პროფესიულ პრაქტიკას. დარგობრივი კურსები უზრუნველყოფენ დრმა თეორიული ცოდნის გადაცემას და პრაქტიკული უნარების განვითარებას ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ძირითად თემებში, რაც სტუდენტებს ამზადებს რთული პრობლემების გამოსავლენად და გადასაჭრელად, აგრეთვე პროფესიული საქმიანობისას თავიანთი ცოდნის უწყვეტი განახლებისთვის. პრაქტიკული პროექტის კომპონენტი, რეალური დავალებების მეშვეობით სტუდენტებს აძლევს პრაქტიკულ გამოცდილებას პროგრამული გადაწყვეტილებების შემუშავებასა და განხორციელებაში, მათ შორის პროექტის დაგეგმვის და გუნდური თანამშრომლობის კუთხით. პროფესიული პრაქტიკა სტუდენტებს აძლევს საშუალებას აუდიტორიაში შექმნილი ცოდნა გამოიყენონ სამუშაო გარემოში, რაც ერთმანეთთან აკავშირებს აკადემიურ სწავლას და პროფესიულ პრაქტიკას.

ორივე პროგრამა ასევე მოიცავს 42 კრედიტის სპეციალიზაციის არჩევით კურსებს, რაც სტუდენტებს ხელს უწყობს მთარგონ თავიანთი განათლება პირად და პროფესიულ ინტერესებს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების სფეროში. გარდა ამისა, 18 კრედიტის მოცულობის თავისუფალი არჩევითი კურსები სტუდენტებს სთავაზობს დამატებით კურსებს, რომლებიც ხელს უწყობს შემდგომ პროფესიულ განვითარებას პირადი აკადემიური ინტერესების შესაბამისად.

როგორც ქართულენოვან, ასევე ინგლისურენოვან პროგრამებში კრედიტების განაწილება და მკაფიოდ განსაზღვრული საგანმანათლებლო კომპონენტები აჩვენებს თანმიმდევრულ სასწავლო გეგმას, რომელიც მიზნად ისახავს ფართო დარგობრივი ცოდნის გადაცემას, პრაქტიკული უნარების განვითარებას და სტუდენტების მომზადებას დასაქმებისთვის ან სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელებისთვის.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

პროგრამების შეფასება განხორციელდა 2026 წლის 16 და 17 თებერვალს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანებით დამტკიცებული ექსპერტთა ჯგუფის მიერ. შეფასების ფარგლებში ქართველი ექსპერტები და საერთაშორისო ექსპერტი, თავმჯდომარე ადგილზე ესწრებოდნენ ინტერვიუებს.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებმა 12 თებერვალს ონლაინ ფორმატში ჩაატარეს წინამოსამზადებელი შეხვედრა, სადაც პროგრამის, თვითშეფასების ანგარიშისა და შესაბამისი დანართების შესწავლის საფუძველზე ერთმანეთს გაუზიარეს პირველადი მიგნებები და დაგეგმეს ვიზიტის დეტალები. ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა შეხვედროდა პროგრამებთან დაკავშირებულ შიდა და გარე დაინტერესებულ მხარეებს და დაეთვალაწიერებინა მატერიალურ - ტექნიკური რესურსები. გაიმართა შეხვედრები უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების გუნდთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, კლასტერში გაერთიანებული პროგრამების ხელმძღვანელებთან, პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან. აკრედიტაციის ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული, სამუშაო გარემო იყო თანამშრომლობითი და მეგობრული.

▪ **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

**კლასტერის შესაბამისობა:**

**სტანდარტი 1:** მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- კომპონენტი 1.1, 1.2, 1.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- კომპონენტი 1.3, 1.4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**სტანდარტი 2:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- კომპონენტი 2.1 - 2.4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**სტანდარტი 3:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- კომპონენტი 3.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**სტანდარტი 4:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- კომპონენტი 4.1 – 4.5 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

**სტანდარტი 5:** შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- კომპონენტი 5.1 – 5.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ **რეკომენდაციები**

**კლასტერული:**

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ყველა სწავლის შედეგის (მათ შორის პირველი, მე - 2 და მე - 3 სწავლის შედეგების) მიღწევა დაუფლების დონეზე და ორივე პროგრამაში სწავლის შედეგებზე დაფუძნებული შეფასების ჩარჩოს გამჭვირვალობის და სიზუსტის გაუმჯობესება.

**1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი**

რეკომენდებულია, შეიცვალოს პროგრამის სახელწოდება და ეწოდოს „ინფორმაციული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება“, რაც უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის შინაარსს.

▪ **რჩევები**

**კლასტერული:**

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

ინსტიტუციური სამიზნე ნიშნულები ეფუძნება ფიქსირებული პროცენტული განაწილების მიდგომას, რაც შეიძლება მეთოდოლოგიურად არ იყოს ეფექტური, განსაკუთრებით ახალი პროგრამებისთვის და ისეთი სწავლის შედეგებისთვის, რომლებიც აფასებენ მაღალი დონის ანალიტიკურ და პროფესიულ კომპეტენციებს, სადაც შესაძლოა კოპორტებს შორის დაფიქსირდეს სტუდენტების მოსწრების ბუნებრივი ცვალებადობა.

შესაბამისად, სასურველია, არსებულ რაოდენობრივ ზღვრებს დაემატოს შედეგზე ორიენტირებული მოსწრების აღმწერები (რუბრიკაზე დაფუძნებული კომპეტენციის დონეები, როგორცაა „ცოდნა“ ან „ცოდნა მაღალ დონეზე“)

და რაოდენობრივი მაჩვენებლები განიმარტოს კოჰორტის ზომის, შეფასების სირთულის და პროგრამის განვითარების გათვალისწინებით. აღნიშნული გაუმჯობესება გააძლიერებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ანალიტიკურ სიღრმეს და ვალიდურობას.

### 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

სასურველია, შეიცვალოს „დისკრეტული ალბათობის და სტატისტიკის“ კურსის სახელწოდება და ეწოდოს „ალბათობა და სტატისტიკა“, რაც უფრო ზუსტად შეესაბამება და ასახავს მის შინაარსს. ასევე, სასურველია, ჩამოყალიბდეს ACM/IEEE - ის ინფორმაციული ტექნოლოგიების 2017 სასწავლო გეგმაზე მითითების კულტურა.

### 2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სასურველია, სილაბუსებში მკაფიოდ იყოს მითითებული პრაქტიკული და პროექტზე დაფუძნებული შეფასების კომპონენტების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან: თითოეულ სილაბუსში გარკვევით უნდა იყოს აღწერილი, პროგრამის რომელი სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება კონკრეტული კომპონენტი, რა დონეზე (გაცნობა, განმტკიცება, დაუფლება) და რომელი შეფასების კომპონენტებით იზომება.

### 2.3 სწავლება - სწავლის მეთოდები

- სასურველია, სტანდარტიზებული ჩამონათვალის ნაცვლად წარმოდგენილი იყოს სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისი სწავლების მეთოდების აღწერები.
- სასურველია, სწავლების სტრატეგიები მკაფიოდ იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების პროგრესულ განვითარებასთან.

### 2.4 სტუდენტის შეფასება

სასურველია, ტრადიციული წერითი გამოცდის გარდა, უნივერსიტეტმა ეტაპობრივად დანერგოს კომპეტენციაზე დაფუძნებული და შესრულებაზე ორიენტირებული შეფასების სტრატეგიები.

### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტების ინტერესების შესაბამისად, სისტემატურად ჩაატაროს საჯარო ლექციები, ვორქშოპები და სხვა პროფესიული ღონისძიებები. აღნიშნული, სტუდენტებს მისცემს დამატებითი ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.

### 4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

- სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ფორმალიზებული „სარეზერვო ფინანსური გეგმა“, რომელშიც განსაზღვრული იქნება ბიუჯეტის კორექტირების კონკრეტული ზომები იმ შემთხვევისთვის, თუ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების პროგნოზირებული მაჩვენებელი 70%-ზე ნაკლები იქნება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ტექნიკური ინფრასტრუქტურის დაფინანსება.
- სასურველია, უნივერსიტეტმა დააჩქაროს შემოსავლების დივერსიფიცირება მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამების განხორციელების კონკრეტული ვადების განსაზღვრით (როგორც ეს დაგეგმილია მე-12 მიზანში), რაც სწავლის გადასახადის მიღმა შექმნის დამოუკიდებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.
- სასურველია, შემუშავდეს „მდგრადობის სარეზერვო ფონდი“ პროგნოზირებული შემოსავლის ნაწილის გამოყენებით, იმისათვის, რომ პროგრამა დაცული იყოს ინსტიტუციური რისკებისგან და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

- სასურველია, ტექნიკურად დაიხვეწოს შესაბამისობის რუკის ცხრილები, იმისათვის რომ, კავშირი კურსის დონის მიზნებს და პროგრამის დონის სწავლის შედეგებს შორის იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და უზრუნველყოს მარტივად შეფასება.
- სასურველია, სასწავლო კურსების განმახორციელებლებს ჩაუტარდეთ სპეციალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო შეხვედრები, რაც მათ დაეხმარება შეიმუშაონ მრავალფეროვანი და მიზანმიმართული შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც ზოგადი რუბრიკების მიღმა ასახავს კიბერუსაფრთხოების სპეციალიზებულ კომპეტენციებს.

- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:

- პერსონალის რაოდენობრივი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და საერთაშორისო პერსონალი); დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალის მონაცემები; აკადემიური / სამეცნიერო პერსონალისა და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა; აფილირებული და აკადემიური პერსონალის თანაფარდობა; მაგისტრანტების და / ან დოქტორანტების და ხელმძღვანელების თანაფარდობა;

ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების პროგრამების განხორციელებაში ჩართულია 19 თანამშრომელი, მათ შორის 12 აკადემიური პერსონალი (63%) და 7 მოწვეული პირი (37%). აკადემიური პერსონალის 9 წევრს გააჩნია დარგობრივი გამოცდილება, ხოლო 3 წევრი ფლობს დოქტორის ხარისხს შესაბამის სფეროში. აკადემიური პერსონალის უმრავლესობა (12 - დან 10) აფილირებულია უნივერსიტეტთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტობას, ინსტიტუციურ სტაბილურობას და მდგრად ჩართულობას პროგრამების განვითარებაში და განხორციელებაში.

აკადემიური სტრუქტურა მოიცავს 3 პროფესორს, 5 ასოცირებულ პროფესორს, 3 ასისტენტ - პროფესორს და 1 ასისტენტს, რაც აჩვენებს შედარებით დაბალანსებულ აკადემიურ იერარქიას, რომელიც ხელს უწყობს აკადემიურ ხელმძღვანელობას, მენტორობას და სასწავლო და ზედამხედველობის საქმიანობის ეფექტურ ორგანიზებას. თუმცა, დარგში დოქტორის ხარისხის მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა შედარებით შეზღუდულია, არ არის მითითებული სამეცნიერო ან საერთაშორისო პერსონალი, რაც აჩვენებს კვლევითი პოტენციალის და ინტერნაციონალიზაციის გაძლიერების საჭიროებას.

- სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები - პროგრამაში ჩართულ პირთა სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში); საერთაშორისო ინდექსის მქონე რეცენზირებულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომების რაოდენობრივი მონაცემები; ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში პერსონალის მონაწილეობის მაჩვენებლები; სხვა სამეცნიერო / კვლევითი მაჩვენებლები;

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაში როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პროგრამაში ჩართული პირების კვლევითი პროდუქტიულობა დასტურდება მნიშვნელოვანი რაოდენობის სამეცნიერო პუბლიკაციებით და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობით.

საანგარიშო პერიოდში აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნა 60 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 32 ნაშრომი გამოქვეყნდა საერთაშორისო მონაცემთა ბაზებში არსებულ ინდექსირებულ საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში, ხოლო 28 ნაშრომი ადგილობრივ სამეცნიერო ჟურნალებში. აღნიშნული პუბლიკაციები ასახავს პერსონალის აქტიურ წვლილს შესაბამისი

სფეროს ცოდნის განვითარებაში და ხელს უწყობს სასწავლო პროცესში თანამედროვე სამეცნიერო მიღწევების გამოყენებას.

სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა ადასტურებს პროგრამის პერსონალის მაღალ კვლევით აქტიურობას. სამეცნიერო ღონისძიებებზე ჯამში წარდგენილია 59 მოხსენება და პრეზენტაცია, მათ შორის 47 პრეზენტაცია საერთაშორისო, ხოლო 12 პრეზენტაცია ადგილობრივ კონფერენციებზე. ასეთი მონაწილეობა ხელს უწყობს აკადემიურ თანამშრომლობას, კვლევის შედეგების გავრცელებას და ჩართულობას საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში.

პუბლიკაციების და კონფერენციებზე წარდგენილი პრეზენტაციების გარდა, აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა სამეცნიერო და კვლევით საქმიანობაშიც (6 მაჩვენებელი), რაც მოიცავდა კვლევით პროექტებს, სარედაქციო ან სარეცენზიო საქმიანობას, კვლევითი თანამშრომლობის განვითარებას და სხვა სამეცნიერო აქტივობებს.

საერთო ჯამში, პროგრამის აკადემიური პერსონალის სამეცნიერო - კვლევითი მაჩვენებელი ადასტურებს მდგრად კვლევით საქმიანობას და საერთაშორისო აკადემიურ საზოგადოებაში აქტიურ ჩართულობას. აღნიშნული საქმიანობა აძლიერებს პროგრამის კვლევით კომპონენტს და უზრუნველყოფს, რომ სწავლება ეფუძნება უახლეს სამეცნიერო ცოდნას და სფეროს თანამედროვე მიღწევებს.

- აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი (ბოლო 5 წლის განმავლობაში) (მაგ. პენსიაზე გასული, დაწესებულებიდან წასული, ახალი პერსონალის რაოდენობა და ა.შ.);  
არ არის წარმოდგენილი
- ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები (ბოლო 5 წლის განმავლობაში, მოქმედი პროგრამების შემთხვევაში); პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობა; სტუდენტთა პროგრესია სასწავლო წლების მიხედვით.  
არ არის წარმოდგენილი
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>2</sup>

- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უნივერსიტეტის არგუმენტირებულ პოზიციას.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

---

<sup>2</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის / პროგრამებისთვის

სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კრიტერიუმები გამოიყენება სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან ერთად.

[სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები \(იხ. ლინკი\):](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები](#)

[უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო](#)

[სადოქტორო საფეხურის განათლების ჩარჩო დოკუმენტი](#)

[აკრედიტაციის სტანდარტებისა და დოქტორანტურის ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისობა](#)

[შეფასების კრიტერიუმები](#)

**განმარტებები:**

რეკომენდაციები - წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

**აკრედიტაციის ექსპერტთათვის პროგრამების კლასტერის შეფასების მიდგომები:**

**აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომით:** კლასტერული და საჭიროების შემთხვევაში - ინდივიდუალური შეფასება.

**შეფასების მიდგომები:**

კლასტერული შეფასება: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან პროგრამების ერთიანი მახასიათებლის ნიშნით.

ინდივიდუალური შეფასება: საჭიროების შემთხვევაში, ასევე შეგიძლიათ მიუთითოთ ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან. პროგრამის ინდივიდუალური შეფასება მნიშვნელოვანია განხორციელდეს სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამაზე, ასევე სხვა ნებისმიერ საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელზეც გაიცემა - რეკომენდაცია ან/და რჩევა.

### III. პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობის შემოჯამებული ცხრილი

№	დასახელება / სტანდარტი	პროგრამა 1	პროგრამა 2
1.	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
1.1	პროგრამის მიზნები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.2	პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
1.3	პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
1.4	საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	მეტწილად შესაბამისობაშია	მეტწილად შესაბამისობაშია
1.5	სასწავლო კურსი / საგანი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

2.1	პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.2	პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.3	სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
2.4	სტუდენტების შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
<b>3.</b>	<b>სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.1	სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
3.2	მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი
<b>4</b>	<b>სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.1	ადამიანური რესურსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

4.2	მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	აირჩიეთ შესაბამისი	აირჩიეთ შესაბამისი
4.3	აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.4	მატერიალური რესურსი	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
4.5	პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
<b>5</b>	<b>5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5.1	შიდა ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5.2	გარე ხარისხის შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია
5.3	პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	შესაბამისობაშია	შესაბამისობაშია

## IV. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

##### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები ორიენტირებულია ახალი ცოდნის შექმნაზე ან / და არსებული ცოდნის განვითარებაზე, ცოდნის რეალიზებისა და გავრცელების ხელშეწყობაზე ორიგინალური, თანამედროვე და ინოვაციური კვლევების განხორციელებით;
- სახელოვნებო - შემოქმედებითი სფეროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა წარმოადგენს საშემსრულებლო და / ან შემოქმედებით პრაქტიკაზე დაფუძნებულ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის მიზანია საერთაშორისო დონის ორიგინალური პროექტის შექმნა თანმხლები კვლევითი კომპონენტით, რომელშიც ნათლად ჩანს დოქტორანტის თვითმყოფადი შემოქმედებითი ხედვა, მაღალი დარგობრივი კომპეტენციები და შემოქმედებითი კვლევის შედეგად მიღებული ახალი ცოდნა;
- სადოქტორო პროგრამის მიზანია კვლევითი უნარების გაღრმავების გზით ხელი შეუწყოს დოქტორანტების მომზადებას დამოუკიდებელი კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობისთვის, ასევე, საკვლევო თემატიკის გათვალისწინებით, ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს/ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი კვლევის საქმიანობის განხორციელების სტრატეგიას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერული შეფასება

##### აღწერა და ანალიზი

პროგრამის მიზნები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და სტრუქტურირებულად (ხუთი განსხვავებული მიზანი), მათში განსაზღვრულია, თუ რა კომპეტენციების განვითარებას ისახავს პროგრამა

კურსდამთავრებულებში (ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური ცოდნა, ტექნიკური გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარება, კიბერუსაფრთხოების კულტურა, ეთიკა და სამართლებრივი ცნობიერება, კვლევა და ინოვაცია). თითოეული მიზანი რეალისტურია და შეესაბამება ინფორმაციული ტექნოლოგიების და უსაფრთხოების სფეროში საბაკალავრო საფეხურის პროგრამისთვის დადგენილ მოთხოვნებს. მიზნები აღწერს გაზომვად საგანმანათლებლო მიზნებს და კომპეტენციებს, რომელთა მიღწევა შესაძლებელია სასწავლო გეგმის განხორციელების, პრაქტიკული ლაბორატორიული სამუშაოების და სასწავლო აქტივობების მეშვეობით.

მიზნები შეესაბამება ინფორმაციული ტექნოლოგიების და უსაფრთხოების სფეროს და მოიცავს როგორც გამოთვლითი სისტემების ფუნდამენტურ ცნებებს, ისე გამოყენებითი უსაფრთხოების უნარებს. მათში გაერთიანებულია სფეროს მნიშვნელოვანი ელემენტები, როგორცაა პროგრამირება, ქსელები, კრიპტოგრაფია და კომპიუტერული ექსპერტიზა და უკავშირდება პრობლემების გადაჭრის უნარს და სისტემურ აზროვნებას, რაც შესაფერისია საბაკალავრო განათლებისთვის.

პროგრამის მიზნები მოიცავს კომპეტენციების ყოვლისმომცველ ნაკრებს:

- ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საფუძვლების თეორიული ცოდნა;
- პრაქტიკული უნარები სისტემების და პროგრამული უზრუნველყოფის განვითარებაში;
- კიბერუსაფრთხოების პრაქტიკა და რისკების მართვა;
- ეთიკური, სამართლებრივი და კვლევითი კომპეტენციები.

აღნიშნული შეესაბამება მოცემულ დარგში კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელ ცოდნას, უნარებს და კომპეტენციებს. მიზნები ასახულია სწავლის შედეგებში და მხარდაჭერილია სასწავლო გეგმის სტრუქტურით, რაც აჩვენებს თანმიმდევრულ ჯაჭვს: მიზნები → სწავლის შედეგები → სწავლების მეთოდოლოგია → შეფასება.

პროგრამა აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ ტექნიკურ კომპეტენციებზე, არამედ პროფესიულ ეთიკაზე, სამართლებრივ ცნობიერებაზე, კვლევით პოტენციალზე და დასაქმების შესაძლებლობებზე. ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ფუნდამენტური ცოდნის გაძლიერება უსაფრთხოების პოლიტიკასთან და რისკების გაცნობიერებასთან ერთად ამზადებს კურსდამთავრებულებს ეროვნულ და გლობალურ ციფრულ ეკოსისტემებში წვლილის შესატანად, რაც ხელს უწყობს კიბერუსაფრთხოების და ტექნოლოგიების სექტორში არსებული სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების დაკმაყოფილებას.

პროგრამის მიზნები მკაფიოდ არის დაკავშირებული უნივერსიტეტის მისიასთან (ცოდნა, ინოვაცია, დასავლური აკადემიური სტანდარტები), სტრატეგიული განვითარების გეგმასთან (განათლების გაუმჯობესება, საერთაშორისო თანამშრომლობა) და ძლიერი ინფრასტრუქტურის/პერსონალის

რესურსებთან. აღნიშნული აჩვენებს ძლიერ ინსტიტუციურ შესაბამისოს, რაც აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით წარმოადგენს პროგრამის მიზნების ძირითად მოთხოვნას.

შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც მოიცავდა გამოკითხვებს და ფოკუს ჯგუფებს 15 - ზე მეტი დამსაქმებლის მონაწილეობით, ჩატარდა იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი ყოფილიყო მიზნების შესაბამისობა ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შრომის ბაზრის მიმდინარე მოთხოვნებთან (ქსელების უსაფრთხოება, პოლიტიკის შემუშავება, რისკების მართვა). მიზნები ჩამოყალიბდა აღნიშნული მტკიცებულებების გათვალისწინებით და მათში აისახა როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო დამსაქმებლების საჭიროებები. პროგრამა ასევე შემუშავდა ACM - ის სასწავლო გეგმის სახელმძღვანელო პრინციპებზე დაყრდნობით (ACM IT2017, CC2020), რაც აძლიერებს საერთაშორისო აქტუალობას და გლობალური კომპეტენციის სტანდარტებთან შესაბამისობას.

ინგლისურენოვანი პროგრამაში საერთაშორისო სასწავლო გეგმის სტანდარტების (ACM) გათვალისწინება და გლობალურ ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გარემოში კონკურენტუნარიანობაზე მკაფიო მითითება აჩვენებს ინტერნაციონალიზაციის ძალისხმევას.

პროგრამის მიზნები გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე პროგრამის როგორც ქართულენოვან, ისე ინგლისურენოვან დოკუმენტაციაში, რაც აკმაყოფილებს დაინტერესებული მხარეებისთვის, მათ შორის აბიტურიენტებისთვის, დამსაქმებლებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობის მოთხოვნას.

მიზნები შემუშავებულია უნივერსიტეტის ადმინისტრაციის, აკადემიური პერსონალის და პროგრამის ხელმძღვანელების ჩართულობით და ექვემდებარებოდა საჯარო განხილვებს და დოკუმენტირებას. თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია სხდომების ოქმები და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა, რაც აჩვენებს გაზიარებულ გაგებას და პასუხისმგებლობას.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ  
და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან / და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უსდ - ს, მისი ფაკულტეტის / სკოლის/ ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის და/ან სტრუქტურული ერთეულის მისია, მიზნები და სტრატეგია;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ვებ - გვერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

<b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b>	<b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	<b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
<b>კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები</b>		
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)		
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)		

**შეფასება<sup>3</sup>**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<b>1.1 პროგრამის მიზნები</b>	
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

შეფასება ხდება თითოეულ პროგრამასთან მიმართებით ცალ-ცალკე.

კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)	
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

➤ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.

➤ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/ და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და შეესაბამება კვალიფიკაციის მე-8 დონის აღმწერს;
- სადოქტორო ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის შედეგებს ადგილობრივ ან / და საერთაშორისო დონეზე აქვს სამეცნიერო - კვლევითი / შემოქმედებით- კვლევითი მნიშვნელობა, არის ინოვაციური და პრაქტიკული/თეორიული ღირებულების მქონე.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

სწავლის შედეგები მკაფიოდ არის დაკავშირებული ადრე ჩამოყალიბებულ პროგრამის მიზნებთან (მაგ., ინფორმაციული ტექნოლოგიების ფუნდამენტური ცოდნა, ტექნიკური და კიბერუსაფრთხოების უნარები, ეთიკური ცნობიერება, კვლევითი პოტენციალი). სწავლის შედეგები მოიცავს:

ცოდნა / გაცნობიერებას (სწავლის შედეგები 1 - 4),

უნარებს და გამოყენებით კომპეტენციებს (სწავლის შედეგები 5 - 9),

პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას (სწავლის შედეგები 10 - 12),

რომლებიც ერთობლიობაში ასახავენ საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულებისგან მოსალოდნელი კომპეტენციების სიღრმეს. სტრუქტურა შეესაბამება სტანდარტით განსაზღვრულ ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის სავალდებულო კომპონენტებს.

თითოეული სწავლის შედეგი ჩამოყალიბებულია დაკვირვებადი და შეფასებადი მოქმედებითი ზმნებით (მაგ., „განსაზღვრავს,“ „აღწერს,“ „ანალიზებს,“ „იყენებს,“ „იღებს გაზომვულ გადაწყვეტილებებს,“ „ასრულებს მოვალეობებს“). აღნიშნული ფორმულირება ხელს უწყობს გაზომვადი შეფასების სტრატეგიების შემუშავებას. პროგრამის დოკუმენტაციაში წარმოდგენილია შესაბამისი შეფასების ინსტრუმენტები და კურსების და სწავლის შედეგების შესაბამისობის ცხრილი, რაც წარმოადგენს შეფასების განხორციელების საფუძველს.

სწავლის შედეგები შესაბამისობაშია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიერ საბაკალავრო საფეხურისთვის დადგენილ მოთხოვნებთან, რაც მკაფიოდ არის მითითებული დოკუმენტაციაში და დადასტურებულია ინტერვიუების ფარგლებში. პროგრესია ფუნდამენტური ცოდნიდან გამოყენებით უნარებამდე, პასუხისმგებლობამდე და ავტონომიური სწავლის შესაძლებლობამდე შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის კვალიფიკაციას. აღნიშნული შესაბამისობა აჩვენებს როგორც ეროვნული კვალიფიკაციის მოთხოვნებთან, ისე ბოლონის / ევროპულ სტანდარტებთან თანხვედრას.

უნივერსიტეტს მითითებული აქვს, რომ პროგრამის სწავლის შედეგები შემუშავდა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციფიკის და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ფორმალური დარგობრივი მახასიათებელი ჯერ არ არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, ეროვნულ და საერთაშორისო კვალიფიკაციების ჩარჩოებთან (მაგ., ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო, ACM - ის სასწავლო გეგმის სახელმძღვანელო პრინციპები) შესაბამისობა ადასტურებს მათ რელევანტურობას.

სწავლის შედეგები მოიცავს პრაქტიკულ კომპეტენციებს (სისტემების დანერგვა, რისკების ანალიზი, უსაფრთხოების პრაქტიკა), რომლებიც უშუალოდ უკავშირდება დამსაქმებლების გამოკითხვებით და შრომის ბაზრის კვლევით გამოვლენილ შრომის ბაზრის საჭიროებებს. გარდა ამისა, ისეთი სწავლის შედეგები, როგორცაა კვლევის შესაძლებლობა და ავტონომიური პროფესიული განვითარება, ხელს უწყობს სამაგისტრო საფეხურზე სწავლის გაგრძელებას ან პროფესიულ სპეციალიზაციას.

სწავლის შედეგები ასახავს ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების და უსაფრთხოების დისციპლინების თავისებურებებს და მოიცავს ფუნდამენტურ ცოდნას, სისტემების განვითარებას, რისკების გაცნობიერების პრაქტიკას, ეთიკურ გადაწყვეტილებებს, გუნდურ მუშაობას და ავტონომიურობას. აღნიშნული სიღრმე შეესაბამება შრომის ბაზრის განვითარებად მოთხოვნებს როგორც ტექნიკურ, ისე პროფესიულ სფეროებში და მოიცავს სპეციალიზაციის და ტრანსფერულ კომპეტენციებს.

სწავლის შედეგების შემუშავების პროცესში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი: პროგრამის ხელმძღვანელები, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და ადმინისტრაციული პერსონალი. პროცესში ასევე გამოყენებულ იქნა გამოკითხვები და შრომის ბაზრის კვლევა. აღნიშნული თანამშრომლობითი პროცესი აკმაყოფილებს ინკლუზიური სწავლის შედეგების ჩამოყალიბების მოთხოვნას.

სწავლის შედეგები აჩვენებენ თანმიმდევრულ პროგრესიას ძირითადი კონცეპტუალური ცოდნიდან მოწინავე უნარებამდე, გადაწყვეტილების მიღებამდე და ავტონომიურ პროფესიულ საქმიანობამდე. მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე ანალიზი ფოკუსირებულია მხოლოდ ბაკალავრიატის სწავლის შედეგებზე, ისინი ქმნიან განათლების შემდგომ საფეხურზე გადასვლის ლოგიკურ საფუძველს, რაც ხელს უწყობს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს შესაბამისად დადგენილ თანმიმდევრულობას განათლების საფეხურებს შორის და სამაგისტრო / სადოქტორო პროგრამებთან შესაბამისობას.

ინფორმაცია სწავლის შედეგების შესახებ საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებ - გვერდზე პროგრამის დოკუმენტაციის მეშვეობით და მისი გავრცელება ხორციელდება ინსტიტუციური კამპანიების, სოციალური მედიის, ღია კარის დღეების და სტუდენტებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პირდაპირი შეხვედრების მეშვეობით. აღწერილი აკმაყოფილებს სტანდარტის მოთხოვნებს გამჭვირვალობის და დაინტერესებული მხარეებისთვის ინფორმაციის მიწოდების შესახებ.

ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებს პროგრამის სწავლის შედეგებთან მიმართებით. კერძოდ, ისინი შეესაბამება

- პროგრამის მიზნებს და ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს მოთხოვნებს;
- გაზომვადია, რეალისტურია და მიღწევადია;
- შეესაბამება ბაკალავრიატის კვალიფიკაციის საფეხურს და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს;
- ასახავს შრომის ბაზრის საჭიროებებს და განათლების მომდევნო საფეხურზე სწავლის გაგრძელების გზებს;
- შემუშავებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით,
- საჯაროდ ხელმისაწვდომია და გავრცელებულია სათანადოდ.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან

იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან / და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამა / კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები;
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი;
- ვებ - გერდი;
- ინტერვიუს შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები</b></p>		
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)</p>		

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამების შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
------------	----------

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

##### კლასტერული შეფასება

##### აღწერა და ანალიზი

ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი და ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი განსაზღვრულია უნივერსიტეტის პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგიის, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის და შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შესაბამისად. აღნიშნული ინსტიტუციური დოკუმენტები, სტრუქტურირებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ფარგლებში არეგულირებს პროგრამის სწავლის შედეგების ფორმულირებას, შესაბამისობის რუქას, შეფასებას, მონიტორინგს და გაუმჯობესებას.

პროგრამის სწავლის შედეგები ჩამოყალიბებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონის, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროს სპეციფიკის, შრომის ბაზრის კვლევის შედეგების და პროგრამების მიზნების შესაბამისად. სტრუქტურირებული სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის სწავლის შედეგებს აკავშირებს სავალდებულო სასწავლო კურსებთან. ინსტიტუციური მეთოდოლოგიის შესაბამისად, სწავლის შედეგები ფასდება იმ სასწავლო კურსებში, სადაც ისინი მიიღწევა განმტკიცების და დაუფლების დონეზე.

სწავლის შედეგების შეფასება ხორციელდება როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი შეფასების მეთოდები მოიცავს შესაბამისობის რუქაში ასახული კურსების საბოლოო შეფასებებს, შემაჯამებელი / პრაქტიკული პროექტების შეფასებას, პრაქტიკის ხელმძღვანელების შეფასებებს და სტუდენტების GPA-ის ანალიზს. არაპირდაპირი მეთოდები მოიცავს კურსდამთავრებულების და დამსაქმებელთა გამოკითხვებს, პროგრამის დასრულების მაჩვენებლებს და დასაქმების ინდიკატორებს. შეფასების ინსტიტუციური სამიზნე ნიშნულები განსაზღვრულია შემდეგნაირად: სტუდენტების 70% - 80 ქულა და ზემოთ, 28% - 51 - 79 ქულა და არაუმეტეს 2% - 0 - 50 ქულა.

პერიოდულად ხორციელდება სტუდენტების აკადემიური მოსწრების მონიტორინგი ინსტიტუციურ დონეზე, აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ჩარჩოს შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დადგენილი პროცედურების შესაბამისად ყოველწლიურად აგროვებს და აანალიზებს შეფასების შედეგებს. შიდა რეგულაციების თანახმად, შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის განვითარებისთვის. გამოვლინდება ძლიერი მხარეები და გასაუმჯობესებელი სფეროები. საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებები ხორციელდება დამტკიცების დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

ამავე დროს, გამოვლინდა რამდენიმე ასპექტი, რომელიც საჭიროებს განვითარებას. მიუხედავად იმისა, რომ პროგრამის დონეზე შემუშავებულია სწავლის შედეგების შესაბამისობის რუქა, კურსის სილაბუსებში თანმიმდევრულად და მკაფიოდ არ არის ასახული თუ როგორ იზომება კონკრეტული კურსის დონის შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით (მაგ., ლაბორატორიული დავალებები, პროექტები, გამოცდები) პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგების მიღწევა. შესაბამისად, გამჭვირვალობის და გაზომვადობის გაუმჯობესების მიზნით, უნდა გაძლიერდეს კავშირი შეფასების კომპონენტებს და მკაფიოდ განსაზღვრულ პროგრამის სწავლის შედეგების ინდიკატორებს შორის.

გარდა ამისა, სასწავლო გეგმის რუქაში არ ჩანს, რომ პროგრამის ყველა სწავლის შედეგი, განსაკუთრებით სწავლის შედეგები 1, 2 და 3 მიიღწევა განმტკიცების / დაუფლების დონეზე. ზოგიერთ შემთხვევაში, სწავლის შედეგების და კურსების შესაბამისობა ნაგულისხმევია და არ არის მკაფიოდ დოკუმენტირებული. აღნიშნული ზღუდავს პროგრესული განვითარების სიცხადეს და პროგრამის თითოეული სწავლის შედეგის ყოვლისმომცველ მიღწევას.

ვინაიდან პროგრამები ახალია, პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პირველი სრული ციკლი განხორციელდება პირველი კოჰორტის მიერ პროგრამის დასრულების შემდეგ. შესაბამისად, განხორციელებული გაუმჯობესების ქმედებების თვალსაზრისით ჯერ ვერ შეფასდება შეფასების მექანიზმის ეფექტიანობა. მიუხედავად ამისა, მექანიზმი ფუნქციურია განხორციელების ეტაპიდან და მოქმედებს ინსტიტუციური PDCA (დაგეგმე - განხორციელე - შეამოწმე - იმოქმედე) ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ფარგლებში.

საერთო ჯამში, განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი და დარეგულირებულია ინსტიტუციურად, თუმცა სწავლის შედეგებზე დაფუძნებული კავშირის გაძლიერება და მოსწრების ინტერპრეტაციის გაუმჯობესება გააძლიერებს მის ანალიტიკურ სიზუსტეს.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე**

**აღწერა და ანალიზი - ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე**

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- აკადემიური მოსწრების მონიტორინგის წესი;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები.

<b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b>	<b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ	<b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო
--	--	--

	საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
კლასტერის საერთო რეკომენდაციები / რჩევები	რეკომენდებულია, უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ყველა სწავლის შედეგის (მათ შორის პირველი, მე - 2 და მე - 3 სწავლის შედეგების) მიღწევა დაუფლების დონეზე და ორივე პროგრამაში სწავლის შედეგებზე დაფუძნებული შეფასების ჩარჩოს გამჭვირვალობის და სიზუსტის გაუმჯობესება.	ინსტიტუციური სამიზნე ნიშნულები ეფუძნება ფიქსირებული პროცენტული განაწილების მიდგომას, რაც შეიძლება მეთოდოლოგიურად არ იყოს ეფექტური, განსაკუთრებით ახალი პროგრამებისთვის და ისეთი სწავლის შედეგებისთვის, რომლებიც აფასებენ მაღალი დონის ანალიტიკურ და პროფესიულ კომპეტენციებს, სადაც შესაძლოა კოჰორტებს შორის დაფიქსირდეს სტუდენტების მოსწრების ბუნებრივი ცვალებადობა. შესაბამისად, სასურველია, არსებულ რაოდენობრივ ზღვრებს დაემატოს შედეგზე ორიენტირებული მოსწრების აღმწერები (რუბრიკაზე დაფუძნებული კომპეტენციის დონეები, როგორცაა „ცოდნა“ ან „ცოდნა მაღალ დონეზე“) და რაოდენობრივი მაჩვენებლები განიმარტოს კოჰორტის ზომის, შეფასების სირთულის და პროგრამის განვითარების გათვალისწინებით. აღნიშნული გაუმჯობესება გააძლიერებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმის ანალიტიკურ სიღრმეს და ვალიდურობას.
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)		
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)		

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შეფასება
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიების და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი საბაკალავრო პროგრამა, მე - 6 დონე)	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

#### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

##### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები:

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების საფუძველს წარმოადგენს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში კვლევითი პოტენციალი, შესაბამისი მიმართულებით წინარე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის გამოცდილების არსებობა, წარმატებული პრაქტიკა და კვლევის შედეგები;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს უსდ - ში სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განვითარებას, დარგობრივი, სამეცნიერო ხასიათის თანამშრომლობის/პროფესიული ქსელის ჩამოყალიბებას;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი სწავლის სფეროს თავისებურებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს მეცნიერების/სფეროს, სახელმწიფოს ან/და საზოგადოების, ინტელექტუალურ, სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ, ტექნოლოგიურ, ინდუსტრიულ ან/და სხვა სახის განვითარებას
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტი ტრანსფერული უნარების განვითარების გზით ან/და სფეროს აქტუალურ საკითხებზე/ტენდენციებზე დოქტორანტის მიერ ცოდნის გაღრმავებით ხელს უწყობს დოქტორანტის სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის სათანადო ხარისხით განხორციელებას. ასევე, იძლევა მეთოდოლოგიურ მითითებებს კვლევითი კომპონენტის სათანადო დაგეგმვისა და განხორციელებისათვის;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი განაპირობებს მნიშვნელოვანი ინოვაციური მიდგომების ჩამოყალიბებას, რომელიც საკვლევი სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით, ხელს შეუწყობს სამეცნიერო დარგებს შორის ინტერდისციპლინური მიდგომების გამოყენებით თანამშრომლობის განვითარებას;

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტებისთვის ისეთი კომპეტენციებისა და ტრანსფერული უნარების განვითარებას, როგორცაა, მაგალითად: კვლევით-სამეცნიერო საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება, გრანტების მოძიება და ადმინისტრირება, პროექტების მართვა, შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტის დაგეგმვა და განხორციელება, კვლევის შედეგების იმპლემენტაციის გზით ტექნოლოგიურ ტრანსფერში ჩართულობა, ლიდერობა, ხელმძღვანელობა, კარიერის განვითარების დაგეგმვა, სამეცნიერო ლიტერატურის კრიტიკული ანალიზი, მონაცემთა ანალიზი, სწავლება (პედაგოგიური უნარები), პოპულარულ სამეცნიერო ენაზე აზრის გადმოცემა და სხვა;
- უსდ - ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტის ეფექტურად კომპონენტის განხორციელებისათვის შემუშავებული აქვს: საკვლევი თემის შერჩევის, შეცვლის, სამეცნიეროკვლევის განხორციელების და წარდგენის მექანიზმი, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის კვლევის სფეროს/სფეროების შესაბამისად და დოქტორანტთა ინტერესების გათვალისწინებით უზრუნველყოფს დოქტორანტის მიერ სამეცნიერო- კვლევითი კომპონენტის შესრულებას სათანადო დონეზე აკადემიური კეთილსინდისიერების მექანიზმების დაცვის გათვალისწინებით;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევის გეგმა, ითვალისწინებს - კვლევის მიზანს, სადოქტორო ნაშრომის სტრუქტურის და კვლევის განხორციელების სავარაუდო განრიგს/გრაფიკს, კვლევის მეთოდოლოგიას და სხვა. კვლევის გეგმა მხარს უჭერს დოქტორანტის საკვლევი თემის შესაბამისად საქმიანობის წარმართვას და სადოქტორო ნაშრომის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას;
- უსდ - ში მოქმედებს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ეთიკის ნორმები, რომელიც ითვალისწინებს შესაბამის სფეროში მოქმედ კვლევის ეთიკის ადგილობრივ და საერთაშორისო სტანდარტებს.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

პროგრამა შედგენილია SANGU-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად. დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ პროგრამის აღწერაში სისტემატურად არის ასახული ყველა საჭირო კომპონენტი (სათაური, დონე, კვალიფიკაცია, სწავლების ენა, პროგრამის ხელმძღვანელი, მიღების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შეფასების მეთოდები, სტუდენტთა მხარდაჭერის მექანიზმები და სხვ.).

პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს და ხორციელდება ოთხწლიანი საბაკალავრო ციკლის ფარგლებში, რაც შეესაბამება უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის სტანდარტს საქართველოს განათლების სისტემისა და უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ნორმების შესაბამისად. კრედიტების განაწილება (ზოგადი, სავალდებულო, არჩევითი და თავისუფალი კომპონენტები) ასახავს აკადემიური პროგრესის ლოგიკურ თანმიმდევრობას და კომპეტენციების თანმიმდევ განვითარებას.

პროგრამის აღწერაში მკაფიოდ არის გამოკვეთილი მისი შესაბამისობა როგორც საქართველოს კანონთან „უმაღლესი განათლების შესახებ“, ასევე კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ

სისტემასთან (ECTS). კრედიტების საერთო რაოდენობა (240 ECTS) და სხვადასხვა კომპონენტისთვის განსაზღვრული კრედიტების განაწილება შეესაბამება საქართველოში ბაკალავრის ხარისხისთვის განსაზღვრულ საკანონმდებლო და ECTS ნორმებს.

პროგრამა აერთიანებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საბაზისო საგნებს კიბერუსაფრთხოების სპეციალიზაციასთან, კვლევით უნარებთან, ეთიკასთან და პროფესიულ პრაქტიკასთან. არჩევითი კურსები და თავისუფალი არჩევანის კრედიტები შესაძლებლობას აძლევს სტუდენტებს ინდივიდუალურად ჩამოაყალიბონ საკუთარი სასწავლო ტრაექტორია, ხოლო უცხო ენისა და ინტერნაციონალიზაციის კომპონენტები გამოარჩევს პროგრამას შინაარსისა და ორიენტაციის თვალსაზრისით.

სასწავლო გეგმა ლოგიკურად აკავშირებს სასწავლო კურსებსა და შეფასებას მოსალოდნელ სწავლის შედეგებთან, რომლებიც შემუშავებულია საბაკალავრო საფეხურისთვის დამახასიათებელი ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის შესაბამისად. საინფორმაციო მასალები (სილაბუსები, შესაბამისობის ცხრილები) აჩვენებს თანხვედრას კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს შორის, რაც უზრუნველყოფს მისანიჭებელი კვალიფიკაციის სანდოობას და თანმიმდევრულობას.

კურსების დეტალური აღწერილობა (წარმოადგენილია პროგრამების დანართებში) და სასწავლო გეგმა ასახავს, როგორ უწყობს ხელს თითოეული მოდული საერთო სწავლის შედეგების მიღწევას. წინაპირობების თანმიმდევრობა და კრედიტების განაწილება უზრუნველყოფს, რომ პროგრამის თითოეული კომპონენტი თანმიმდევრულად ავითარებდეს პროგრამის დონეზე განსაზღვრულ კომპეტენციებს.

სასწავლო გეგმა სტრუქტურირებულია ლოგიკური პროგრესით (საბაზისო საგნებიდან მოწინავე და სპეციალიზებულ კურსებამდე), მკაფიო წინაპირობებით და პრაქტიკული, თეორიული და კვლევაზე ორიენტირებული ელემენტების დაბალანსებული ინტეგრაციით. სწავლებისა და სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასების სისტემა განსაზღვრულია სასწავლო კურსების თანმიმდევრობის შესაბამისად.

კვლევითი პოტენციალის მქონე აკადემიური პერსონალის შერჩევა, სწავლების შედეგებში კვლევით უნარებზე გაკეთებული აქცენტი და კონფერენციებსა და აკადემიურ ღონისძიებებში მონაწილეობისთვის წახალისება მეტყველებს იმაზე, რომ პროგრამა ითვალისწინებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების თანამედროვე მიღწევებს. თანამედროვე ტექნოლოგიებისა და კვლევაზე დაფუძნებული სწავლების ინტეგრირება ასახულია სასწავლო კურსების შინაარსის აღწერებში.

ინტერნაციონალიზაცია პროგრამაში თანმიმდევრულად არის ინტეგრირებული და მოიცავს სავალდებულო და არჩევით უცხოურენოვან მოდულებს, ინგლისურენოვანი მიმართულების ხელმისაწვდომობას, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობას, უცხოელი მოწვეული მკვლევრების ლექციებს და საერთაშორისო მონაწილეობით შექმნილ სამეცნიერო ნაშრომებს. ეს კომპონენტები ხელს უწყობს სწავლის პროცესში გლობალური პერსპექტივების ინტეგრირებას და შეესაბამება სწავლის სფეროსა და დონეს.

პროგრამის შემუშავებაში ჩართული იყო დაინტერესებული მხარეების ფართო სპექტრი (აკადემიური პერსონალი, მოწვეული ლექტორები, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). კურიკულუმის საბოლოო ფორმირება დაეფუძნა შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, გამოკითხვებსა და კონსულტაციებს. შიდა და გარე მხარეების აქტიური ჩართულობა უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსის ფორმირებას აკრედიტაციის მოთხოვნების შესაბამისად.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ (სტრუქტურა, სწავლის შედეგები, მიზნები, სასწავლო გეგმა, რესურსები) ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ არხებზე (ვებგვერდი, პროგრამის დოკუმენტები), ვრცელდება ღია კარის დღეებისა და მარკეტინგული კომუნიკაციების სშუალებით და პირდაპირ მიეწოდება სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებულ მხარეებს. ეს გამჭვირვალობა აკმაყოფილებს პროგრამის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მოთხოვნას.

კურიკულუმისა და სასწავლო კურსების შინაარსის გათვალისწინებით, რეკომენდებულია, შეიცვალოს პროგრამის სახელწოდება და გახდეს „ინფორმაციული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება“-თ, რათა ის უკეთ შეესაბამებოდეს პროგრამის რეალურ შინაარსს.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული სილაბუსები;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შედგენისა და შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის რუკა;
- ვებ-საიტი;
- ინტერვიუს შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ი:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:</b></p>	<p>რეკომენდებულია, შეიცვალოს პროგრამის სახელწოდება და ეწოდოს „ინფორმაციული ტექნოლოგიები და უსაფრთხოება“, რაც უფრო მეტად შეესაბამება პროგრამის შინაარსს.</p>	
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>		

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

<p><b>კომპონენტი</b> <u>1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</u></p>	<p><b>შეფასება</b></p>
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)</p>	<p>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>	<p>მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p>

## 1.5. სასწავლო კურსი/საგანი

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

### კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

უსდ-ს შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა, რომელიც ასახავს, როგორ უკავშირდება თითოეული კურსის შედეგი პროგრამის სწავლის შედეგებს. როგორც აღინიშნა, სასწავლო კომპონენტები შემუშავდა პროგრამის განსაზღვრული სწავლის შედეგების გათვალისწინებით, ხოლო სილაბუსებში პირდაპირ არის მითითებული შედეგები და მათი შეფასების მეთოდები.

სილაბუსის თანახმად, თითოეული კურსის შინაარსი შემუშავებულია განსაზღვრული სწავლის შედეგების საფუძველზე; ამასთან, სილაბუსები ასახავს სწავლების, სწავლისა და შეფასების მეთოდოლოგიურად გამართულ მიდგომებს. ეს შესაბამისობა უზრუნველყოფს, რომ თითოეული კურსი ხელს უწყობს განსაზღვრული ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის შედეგების მიღწევას.

პროგრამა ხორციელდება ECTS ნორმების შესაბამისად, რაც შეესაბამება როგორც საქართველოს უმაღლესი განათლების კანონმდებლობას, ასევე ევროპულ სტანდარტებს (დაახლოებით 60 კრედიტი აკადემიურ წელს).

პროგრამის სტრუქტურის შესაბამისად, კურსების უმეტესობას მინიჭებული აქვს 6 ECTS, ზოგიერთს — 3 ECTS, ხოლო უცხოური ენის კომპონენტს — 24 ECTS კრედიტი.

პირდაპირ არის აღნიშნული, რომ კრედიტების განაწილებისას გათვალისწინებული იყო სასწავლო მასალის სირთულე, თავისებურება, სპეციფიკა და მოცულობა, ხოლო სტუდენტების დატვირთვა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობა) მოწმდებოდა გამოკითხვებისა და ფოკუს ჯგუფების მეშვეობით.

ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი საკონტაქტო საათებსა და დამოუკიდებელ მუშაობას ამოწმებ სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმების მეშვეობით (გამოკითხვები, კითხვარები, ფოკუსჯგუფები). კურსის შინაარსისა და სწავლის შედეგების გათვალისწინებით, სილაბუსის შემუშავების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების სათანადო თანაფარდობას.

უნივერსიტეტი ადასტურებს, რომ თითოეული კურსის ფარგლებში დაგეგმილი სწავლის შედეგები ფასდება სილაბუსებში დოკუმენტირებული მეთოდებისა და კრიტერიუმების გამოყენებით. ეს ნიშნავს,

რომ კურსების შეფასება შედეგებზეა დაფუძნებული და გაზომვადია, რაც საშუალებას იძლევა შეფასდეს სტუდენტის მიღწევები კონკრეტულ შედეგებთან მიმართებაში.

სილაბუსებში მითითებულია სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო რესურსები, რომლებიც უზრუნველყოფენ კურსის შედეგების მიღწევას.

მასალები საკმაოდ თანამედროვეა, ასახავს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში მიმდინარე მიღწევებს და ხელს უწყობს როგორც კურსის, ასევე პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სამუშაო დატვირთვისა და რესურსების შესაბამისობის მონიტორინგი არის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ნაწილი.

პროგრამა პრიორიტეტს ანიჭებს სამეცნიერო შესაძლებლობების მქონე აკადემიური პერსონალის მიღებას, ხელს უწყობს სტუდენტთა მონაწილეობას კვლევით ღონისძიებებში და იყენებს უახლეს სამეცნიერო მიღწევებს სწავლების პროცესში. ეს არაპირდაპირ უწყობს ხელს კურსის შინაარსის აქტუალობას და უზრუნველყოფს რესურსების შესაბამისობას უახლეს სამეცნიერო მიღწევებთან.

პროგრამისა და კურსების შესახებ ინფორმაცია (სილაბუსები, სასწავლო შედეგების შესაბამისობის რუკები, შეფასების სტანდარტები და რესურსები) გამოქვეყნებულია და ვრცელდება უნივერსიტეტის ვებგვერდის, ღია კარის დღეების, სოციალური მედიის კამპანიებისა და პირდაპირი საკონსულტაციო შეხვედრების საშუალებით.

ეს ხელს უწყობს გამჭვირვალობას და უზრუნველყოფს დაინტერესებული მხარეების ინფორმირებულობას თითოეული სასწავლო კომპონენტის შინაარსის შესახებ.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა და თანდართული სილაბუსები;

- კურიკულუმის რუკა;
- კურსების სწავლის შედეგების შეფასების შედეგები;
- ინტერვიუს შედეგები.
- საგანმანათლებლო პროგრამა, სასწავლო მასალები/რესურსები, საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზები, რომლებიც მითითებულია თანდართულ სილაბუსებში;
- ინტერვიუ.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p>რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p>რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:</b></p>		<p>სასურველია, შეიცვალოს „დისკრეტული ალბათობის და სტატისტიკის“ კურსის სახელწოდება და ეწოდოს „ალბათობა და სტატისტიკა“, რაც უფრო ზუსტად შეესაბამება და ასახვას მის შინაარსს. ასევე, სასურველია, ჩამოყალიბდეს ACM/IEEE - ის ინფორმაციული ტექნოლოგიების 2017 სასწავლო გეგმაზე მითითების კულტურა.</p>
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>		

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი 1.5. სასწავლო კურსი/საგანი	შეფასება
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

### 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების ქართულ- და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებზე დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია უმაღლეს განათლებაზე ხელმისაწვდომობის მარეგულირებელი ეროვნული კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის სტუდენტთა მიღების, მობილობისა და შიდა მობილობის წესების შესაბამისად.

ორივე პროგრამაზე მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს საბაკალავრო საფეხურის განათლებაზე სტანდარტიზებულ და კანონმდებლობით რეგულირებულ წვდომას. პროგრამების აღწერილობებში მკაფიოდ არის მითითებული დაშვების წინაპირობები, სწავლების ენა და სტუდენტთა გადაყვანასა და მობილობასთან დაკავშირებული შესაბამისი

პროცედურები. მიღების კრიტერიუმები საჯაროდ ხელმისაწვდომია პროგრამის ოფიციალურ დოკუმენტაციაში და უნივერსიტეტის საინფორმაციო არხებზე.

ინგლისურენოვანი პროგრამისთვის განსაზღვრულია ინგლისური ენის ცოდნის დამატებითი მოთხოვნა. ეს აუცილებელია იმის უზრუნველსაყოფად, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ ინგლისური ენის საკმარისი კომპეტენცია, რომელიც საშუალებას მისცემს სრულფასოვნად და ეფექტიანად ისწავლონ ინფორმაციული ტექნოლოგიები ინგლისურ ენაზე. ეს შეესაბამება პროგრამის აკადემიურ მოთხოვნებს.

მიღების წინაპირობები ზოგადად შეესაბამება სწავლების სფეროსა და დონეს და უზრუნველყოფს, რომ პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტებს ჰქონდეთ დასრულებული სრული ზოგადი განათლება და აკმაყოფილებდნენ ICT მიმართულებით მე-6 დონეზე სწავლისთვის აუცილებელ საბაზისო აკადემიურ მოთხოვნებს. პროცედურები გამჭვირვალეა და სტრუქტურირებულია, და შეესაბამება სამართლიანობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ინსტიტუციურ პრინციპებს.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება (ქართულენოვანი), დონე 6**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვებსაიტი და სხვა საკომუნიკაციო საშუალებები;
- დოქტორანტურაში მიღების კომისიის ფორმირებისა და საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი;
- საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ინტერვიუს შედეგები.

<b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b>	<b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	<b>რჩევები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
<b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:</b>		
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)		
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)		

### შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

<b>კომპონენტი</b> <b>2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>	<b>შეფასება</b>
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია

**2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება**

## აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

---

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

---

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვან და ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამებში პრაქტიკული სწავლების კომპონენტები მკაფიოდ და სტრუქტურულად არის ინტეგრირებული პროგრამებში გათვალისწინებულია კრედიტები პრაქტიკული პროექტისთვის (6 ECTS) და პროფესიული სტაჟირებისთვის (6 ECTS), ხოლო სავალდებულო ტექნიკური კურსების უმეტესობა მოიცავს ლაბორატორიულ სამუშაოებს (13–26 საკონტაქტო საათი), რაც მიუთითებს გამოყენებითი სწავლების სისტემურ ინტეგრაციაზე.

ტექნიკურ კურსებში, როგორცაა დისკრეტული სტრუქტურები და ალგორითმები, გამოყენებითი კრიპტოგრაფია, ოპერაციული სისტემები, პროგრამული უზრუნველყოფის ინჟინერია და პროგრამირება Python-ში, გათვალისწინებულია რეგულარული ლაბორატორიული დავალებები და პრაქტიკული ამოცანები, რომლებიც მოითხოვს განხორციელებას, კონფიგურაციას, სიმულაციას ან გამოყენებით ანალიზს. განსაკუთრებით აღსანიშნავია კურსი „გამოყენებითი კრიპტოგრაფია“, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს პრაქტიკულ ორიენტაციას რეალურ სამყაროში გამოყენებადი უსაფრთხოების ინსტრუმენტებისა და შეტვის სიმულაციების გამოყენებით. ეს მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დარგობრივი კომპეტენციების განვითარებაში.

ტრანსფერული უნარების განვითარებას უზრუნველყოფს:

- ჯგუფური პროექტები და პრეზენტაციები,
- კვლევითი ნაშრომებისა და ანალიტიკური წერის კომპონენტები,
- ეთიკური და სამართლებრივი შემთხვევების ანალიზი კურსში „კომპიუტერული სამართალი და ეთიკა“

- დოკუმენტაციის მოთხოვნების შესრულება ტექნიკურ კურსებში,
- ინგლისურენოვანი სწავლება (ინგლისურენოვანი პროგრამისთვის).

თუმცა, გამოვლინდა რამდენიმე სტრუქტურული და დოკუმენტაციასთან დაკავშირებული ხარვეზი.

პირველ რიგში, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკული კომპონენტები მკაფიოდ არის ინტეგრირებული, სილაბუსებში თანმიმდევრულად არ არის ნაჩვენები კურსის დონის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის მკაფიო შესაბამისობა. იმის გამო, რომ არ არსებობს თვალსაჩინო კავშირი ლაბორატორიულ დავალებებს, პროექტის კომპონენტებსა და პროგრამის სწავლის შედეგებს შორის, რთულია, დაინახო კომპეტენციების განვითარების დინამიკა პროგრამის დონეზე.

მეორე, ჯგუფურ შეფასებებში არ არის გათვალისწინებული ისეთი დეტალური მექანიზმები, რომლებიც საშუალებას მისცემს შემფასებელს სანდოდ და ზუსტად დაადგინოს თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი — განსაკუთრებით პროექტზე დაფუძნებულ ამოცანებში. შეფასების კრიტერიუმები ხშირად აღწერს მხოლოდ დავალების შესრულებასა და პრეზენტაციის ხარისხს, თუმცა სისტემატურად არ განასხვავებს ინდივიდუალურ და კოლექტიურ მიღწევებს. ამან შეიძლება შეზღუდოს კომპეტენციების შემოწმების სანდოობა.

და ბოლოს, რამდენიმე სილაბუსში დაფიქსირდა მცირე, თუმცა საყურადღებო დოკუმენტური შეუსაბამობა სამუშაო დატვირთვის განაწილებაში (საკონტაქტო და საერთო საათებს შორის). მიუხედავად იმისა, რომ ეს ხარვეზები პრაქტიკულ მომზადებას მნიშვნელოვნად არ აზიანებს, მათი გამოსწორება მაინც საჭიროა სრული გამჭვირვალობისა და ECTS-ის სტანდარტების დაცვის მიზნით.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

### **აღწერა და ანალიზი - ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება (ქართულენოვანი), დონე 6**

ქართულენოვანი პროგრამა უზრუნველყოფს პრაქტიკული უნარების განვითარებას ლაბორატორიული სწავლების, პროექტების და პროფესიული პრაქტიკის მეშვეობით. პროგრამის სტრუქტურა შეესაბამება მე-6 დონის ICT პროგრამების მიმართ წაყენებულ მოთხოვნებს და უზრუნველყოფს გამოყენებითი ტექნიკური კომპეტენციების განვითარებას.

მიუხედავად ამისა, დოკუმენტაცია, რომელიც ნათლად აჩვენებს, როგორ უკავშირდება კურსის დონეზე ჩატარებული პრაქტიკული საქმიანობა პროგრამის სწავლის შედეგებს, საკმაოდ შეზღუდულია, ხოლო

ჯგუფურ სამუშაოებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის შეფასების მექანიზმები საჭიროებს დამატებით გაძლიერებას.

**აღწერა და ანალიზი - ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება (ინგლისურენოვანი), დონე 6**

ინგლისურენოვანი პროგრამა სრულად ასახავს ქართულენოვანი პროგრამის სტრუქტურას და უზრუნველყოფს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარების იდენტურ შესაძლებლობებს. ინგლისურენოვანი სწავლება აძლიერებს საერთაშორისო კომუნიკაციის კომპეტენციას.

შედეგების ლოგიკურ ბმასა და შეფასების გამჭვირვალობასთან დაკავშირებით იგივე სტრუქტურული შენიშვნები ვრცელდება ინგლისურენოვან პროგრამაზეც.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- ინტერვიუების შედეგები
- სილაბუსები

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p>რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p>რჩევ(ები)ა: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:</b></p>		<p>სასურველია, სილაბუსებში მკაფიოდ იყოს მითითებული პრაქტიკული და პროექტზე დაფუძნებული შეფასების კომპონენტების კავშირი პროგრამის სწავლის შედეგებთან: თითოეულ სილაბუსში გარკვევით უნდა იყოს აღწერილი, პროგრამის რომელი სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება კონკრეტული კომპონენტი, რა დონეზე (გაცნობა, განმტკიცება, დაუფლება) და რომელი შეფასების კომპონენტებით იზომება.</p>
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება)</p>		

ქართულენოვანი, დონე 6)		
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)		

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <u>2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია

## 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

პროგრამები იყენებს სწავლებისა და სწავლის მრავალფეროვან მეთოდებს, მათ შორის ლექციებს, სემინარებს, ლაბორატორიულ სესიებს, ამოცანაზე დაფუძნებულ სწავლებას, ქვისების ანალიზს, დისკუსიას

და მოქმედებაზე ორიენტირებულ სწავლას. ტექნიკურ საგნებში აშკარად ჩანს ლაბორატორიული და გამოყენებითი სწავლების ინტეგრაცია, რაც სრულად შეესაბამება ICT-ის საბაკალავრო განათლების სპეციფიკას.

კიბერუსაფრთხოებაზე ორიენტირებულ სასწავლო საგნებში, როგორცაა გამოყენებითი კრიპტოგრაფია და ოპერაციული სისტემები, სწავლების მეთოდები მოიცავს სიმულაციას, შეტევის ანალიზს, ინსტრუმენტებზე დაფუძნებულ კონფიგურაციას და პრაქტიკულ სავარჯიშოებს. ეს მიდგომები ასახავს სფეროს სპეციფიკას და ხელს უწყობს გამოყენებითი კომპეტენციის ჩამოყალიბებას.

თუმცა, რამდენიმე სილაბუსში სწავლებისა და სწავლის მეთოდები სტანდარტიზებულად და ფორმალურად არის წარმოდგენილი. ერთი და იგივე ზოგადი მეთოდების ჩამონათვალი ხშირად მეორდება კურსის სპეციფიკაზე მორგებული განმარტების გარეშე. ეს აჩენს კითხვებს იმასთან დაკავშირებით, რამდენად განსხვავდება ერთმანეთისგან სხვადასხვა კურსში გამოყენებული პედაგოგიური სტრატეგიები.

მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტაციაში მითითებულია სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები, ნაკლებად ჩანს მტკიცებულება სტრუქტურირებული ფორმატიული უკუკავშირის, დიფერენცირებული სწავლების ან ადაპტური სწავლის მექანიზმების შესახებ. ძირითადი აქცენტი კვლავ კეთდება შემაჯამებელ შეფასებაზე, განსაკუთრებით შუალედური და საბოლოო გამოცდების საშუალებით.

ამასთანავე, მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში წარმოდგენილია ლაბორატორიული სამუშაოები, ყოველთვის მკაფიოდ არ არის ნაჩვენები, როგორ უზრუნველყოფს გამოყენებული სწავლების მეთოდები პროგრამის სწავლის შედეგების ეტაპობრივად დაუფლებას.

საერთო ჯამში, სწავლების მეთოდები შეესაბამება საბაკალავრო საფეხურის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განათლების მოთხოვნებს და სათანადოდ არის ინტეგრირებული ლაბორატორიულ მუშაობასთან. თუმცა, მიუხედავად ამისა, პედაგოგიურ დოკუმენტაციაში სასურველია, უფრო მკაფიოდ იყოს ნაჩვენები, როგორ არის ერთმანეთთან დაკავშირებული სწავლების სტრატეგიები, პროგრამის სწავლის შედეგები და შეფასების სისტემა.

ინდივიდუალური შეფასება - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამა/საგანმანათლებლო პროგრამები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- ინდივიდუალური გეგმები (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
- უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროგრამის განსახორციელებლად გამოყენებული ელექტრონული რესურსები;
- ინტერვიუს შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაციები:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ი:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p><b>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:</b></p>		<ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია, სტანდარტიზებული ჩამონათვალის ნაცვლად წარმოდგენილი იყოს სასწავლო კურსის სპეციფიკის შესაბამისი სწავლების მეთოდების აღწერები.</li> <li>• სასურველია, სწავლების სტრატეგიები მკაფიოდ იყოს დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების პროგრესულ განვითარებასთან.</li> </ul>
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული</p>		

ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)		
---	--	--

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <u>2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია

## 2.4. სტუდენტის შეფასება

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

პროგრამაში მოქმედებს სტუდენტთა შეფასების მკაფიო სისტემა, რომელიც დეტალურად არის აღწერილი და სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტულ პრაქტიკებს. შეფასება ხორციელდება 100-ქულიანი შეფასების სისტემის გამოყენებით, რომელიც მოიცავს დადებით შეფასების ხუთ კატეგორიას (A–E) და ორ სახის უარყოფით შედეგს (FX და F). გამოყენებულია შეფასების მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის წერიტი და ზეპირი გამოცდები, საშინაო დავალებები, პრაქტიკული სამუშაოები, პრეზენტაციები და სხვადასხვა ტიპის პროექტები. ეს საშუალებას აძლევს ლექტორს, აირჩიოს ისეთი შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც შეესაბამება თითოეული კურსის სწავლის შედეგებს.

შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია კურსების სილაბუსებში, რომლებიც სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში. კურსები ტარდება სილაბუსში განსაზღვრული წესების მკაცრი დაცვით.

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართულ უნივერსიტეტში შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები სრულად გამჭვირვალეა, ხელმისაწვდომია და სტუდენტებისთვის წინასწარ ცნობილია. სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ შეფასების კრიტერიუმები მათთვის გასაგებია. სტუდენტებს არ გამოუთქვამთ უკმაყოფილება შეფასების გამჭვირვალობასთან ან სამართლიანობასთან დაკავშირებით. ისინი კმაყოფილები არიან როგორც შეფასების სისტემით, ასევე ლექტორებთან თანამშრომლობით. მათ აღნიშნეს, რომ ლექტორებისგან მიღებული უკუკავშირი ყოველთვის დროული და კონსტრუქციულია. გარდა ამისა, მათ პროფესორებთან აქვთ აქტიური და მუდმივი კომუნიკაციასწავლის შედეგებთან დაკავშირებით.

კურსების ფარგლებში, სტუდენტები სემესტრის ბოლოს იღებენ უკუკავშირის აკადემიური მოსწრების შესახებ, მათ შორის ინფორმაციას მათი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. სტუდენტები მჭიდრო კომუნიკაციას ინარჩუნებენ ლექტორებთან. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება სისტემატურად ატარებს კურსებით კმაყოფილების გამოკითხვებს ყოველი სემესტრის ბოლოს, რათა შეაგროვოს სტუდენტებისგან უკუკავშირი კურსის შინაარსთან, სწავლების მეთოდებთან, სასწავლო დატვირთვისასთან და შეფასებასთან დაკავშირებით. შეგროვებულ მონაცემებს ანალიზებენ შესაბამისი აკადემიური ერთეულები ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად. ანალიზის შედეგები გამოიყენება იმისთვის, რომ გამოვლინდეს კურსის მიწოდებისა და შეფასების მეთოდების ძლიერი მხარეები და ის მიმართულებები, რომელიც საჭიროებს გაუმჯობესებას. დასკვნებზე დაყრდნობით, ხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, როგორცაა კურსის შინაარსის განახლება, სწავლების მიდგომების გაუმჯობესება ან შეფასების მეთოდების დახვეწა. ეს უზრუნველყოფს სწავლის შედეგებთან შესაბამისობას, სტუდენტების შეფასების სამართლიანობას და გამჭვირვალობას.

აკადემიური და ეთიკური სტანდარტები ინტეგრირებულია როგორც სწავლების პროცესში, ასევე შეფასების სისტემაში, რაც უზრუნველყოფს სამართლიან და ობიექტურ შეფასებას. სტუდენტებს მკაფიოდ მიეწოდებათ ინფორმაცია აკადემიური კეთილსინოსნების მნიშვნელობის შესახებ, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი აკადემიური კულტურის ჩამოყალიბებას.

მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ამჟამად ძირითადად ტრადიციულ წერით გამოცდებს ეყრდნობა, არსებობს პოტენციალი თანდათანობით დაინერგოს კომპეტენციებზე დაფუძნებული და შესრულებაზე ორიენტირებული შეფასების სტრატეგიები, რათა უკეთ აისახოს სტუდენტების სწავლის შედეგები.

ასევე მნიშვნელოვანია, რომ სისტემატურად და თანმიმდევრულად ფუნქციონირებდეს პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმები. აკადემიური კეთილსინდისიერების უზრუნველყოფისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, გამოიყენება შესაბამისი ტექნოლოგიური ინსტრუმენტები და პროცედურები, მათ შორის საბაკალავრო ნაშრომების შემთხვევებშიც.

უნივერსიტეტში დადგენილია პროცედურები, რომლებიც განსაზღვრავს ქულების გასაჩივრების წესებს, ვადებსა და პასუხისმგებელ სტრუქტურებს. ეს ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი სტუდენტებისათვის. აკრედიტაციის ვიზიტის დროს სტუდენტებმა დაადასტურეს, რომ აქვთ ინფორმაცია როგორც საკუთარი უფლებების, ისე ქულების გასაჩივრების მექანიზმებისა და პროცედურების შესახებ. მათ ასევე აღნიშნეს, რომ ტესტის შედეგებთან დაკავშირებით შევითხვების შემთხვევაში, ლექტორები მათთან ერთად დეტალურად განიხილავენ შედეგებს.

SANGU უზრუნველყოფს სტუდენტების შეფასებების სანდოობას და ვალიდურობას, მათ შორის სწავლისა და დისტანციური სწავლების კონტექსტში. შესაბამისი ზომები მიღებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასებები იყოს ზუსტი და სანდო, სწავლების ფორმატის მიუხედავად. აღსანიშნავია, რომ აღნიშნულ პირობებშიც კი შეფასების სისტემა ინარჩუნებს გამჭვირვალობასა და სანდოობას.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტის სტუდენტთა შეფასების სისტემა სრულად შეესაბამება უმაღლესი განათლების სტანდარტებს და უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ და გამჭვირვალე პროცესს შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები სტუდენტებისთვის წინასწარ არის ცნობილი, რაც მათ საშუალებას აძლევს ეფექტურად დაგეგმონ სწავლის პროცესი. სისტემა აერთიანებს აკადემიური და სამეცნიერო ეთიკის სტანდარტებს, ასევე პლაგიატის პრევენციისა და მასზე რეაგირების მექანიზმებს, რაც ხელს უწყობს პასუხისმგებლიანი აკადემიური კულტურის ჩამოყალიბებას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი ბაკალავრის პროგრამის აღწერა
- ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი ბაკალავრის პროგრამის აღწერა
- სწავლებისა და სწავლების პროცესის მართვის რეგულაცია
- ვებ-საიტი;
- პროგრამების კურიკულუმები და სილაბუსები;
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

- თვითშეფასების ანგარიში

<b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b>	რეკომენდაციები:	რჩევ(ები)ა:
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდაციები:	რჩევ(ები)ა: სასურველია, ტრადიციული წერითი გამოცდების გარდა თანდათანობით დაინერგოს კომპეტენციებზე და პრაქტიკულ შედეგებზე ორიენტირებული შეფასების სტრატეგიები.
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)		
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)		

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი	შეფასება
<b>2.4. სტუდენტის შეფასება</b> ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი პროგრამა, ბაკალავრიატი	შესაბამისობაშია
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი პროგრამა, ბაკალავრიატი	შესაბამისობაშია

### 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებასა და კარიერულ განვითარებაზე კონსულტაციასა და მხარდაჭერას პროგრამაში ჩართული პირების ან/და დაწესებულების სტრუქტურული ერთეულების მიერ. ასევე, სტუდენტს აქვს შესაძლებლობა მისი სწავლების პროცესი იყოს მრავალფეროვანი და ამის შესახებ იღებს შესაბამის ინფორმაციასა და რეკომენდაციას პროგრამაში ჩართული პირების მიერ.

##### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ სადოქტორო პროგრამის ფარგლებში, სფეროს სპეციფიკის გათვალისწინებით თანამშრომლობს ადგილობრივ და უცხოურ სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებთან/ცენტრებთან/უსდ - ებთან, სადოქტორო სკოლებთან, ასევე, საჯარო და კერძო სექტორთან/ინდუსტრიასთან და სხვა პოტენციურ დამსაქმებელთან სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელებისა და კურსდამთავრებულთა სამუშაო ბაზარზე ინტეგრირებისა და კარიერული წინსვლის მიზნით;
- უსდ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ქმნის სათანადო პირობებს და გარემოს საერთაშორისო მობილობის წახალისებისათვის და/ან საერთაშორისო კონფერენციებში, სემინარებში და სხვა სამეცნიერო/შემოქმედებით აქტივობებში მონაწილეობისათვის, რაც მიზნად ისახავს ძლიერი და ინკლუზიური კვლევითი გარემოს განვითარებას და ხელს უწყობს კვლევის საუკეთესო პრაქტიკის ჩამოყალიბებას, კვლევის ინტერნაციონალიზაციას და ერთობლივი კვლევითი პროექტების განხორციელებას.
- უსდ დოქტორანტებს საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს მხარდაჭერის დამატებით მექანიზმებს კურიკულუმის მიღმა ღონისძიებებისა და აქტივობების სახით, რომელიც მიმართულია დოქტორანტის პიროვნული, პროფესიული და კარიერული განვითარებისკენ;
- უსდ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შემუშავებული აქვს დოქტორანტების მხარდამჭერი ღონისძიებები, რომელიც საშუალებას აძლევს დოქტორანტს დაასრულოს სადოქტორო ნაშრომი კანონმდებლობით დადგენილ ვადაში;
- უსდ დოქტორანტს საორიენტაციოდ აწვდის ინფორმაციას საერთაშორისო სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნებისათვის სფეროს სპეციფიკის შესაბამის საერთაშორისო ინდექსის მქონე სამეცნიერო გამოცემების/ბაზების შესახებ. სახელოვნებო სფეროში ასევე, სახელოვნებო შემოქმედებით ღონისძიებების (კონცერტი, ფესტივალი, კონკურსი, მასტერ-კლასი, გამოფენა, ბიენალე და სხვა) თაობაზე;
- უსდ პერიოდულობით ახდენს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულთა კარიერული განვითარების მაჩვენებლების ანალიზს, რომლის შედეგებიც მიმართულია პროგრამის, რესურსებისა და დოქტორანტთა მხარდამჭერი მექანიზმების განვითარებისკენ;
- უსდ უზრუნველყოფს დოქტორანტების ინფორმირებას მხარდამჭერი სერვისების შესახებ.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

## კლასტერული შეფასება

### აღწერა და ანალიზი

SANGU-ს მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს მიღებული ინფორმაციის თანახმად, ცხადია, რომ უნივერსიტეტი აქტიურად აწვდის სტუდენტებს ინფორმაციას სასწავლო პროცესის შესახებ და უზრუნველყოფს შესაბამის დამხმარე მექანიზმებს. ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი ეხმარება სტუდენტებს უნივერსიტეტის გარემოსთან ინტეგრირებაში. სტუდენტებთან ჩატარებულმა ინტერვიუებმა დაადასტურა, რომ სტუდენტებსა და ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალს შორის არსებობს მჭიდრო და აქტიური კომუნიკაცია.

უნივერსიტეტში დაცულია სტუდენტების უფლებები და პატივს სცემენ მათ სამართლებრივ ინტერესებს. ეს ასევე დადასტურდა სტუდენტებთან ინტერვიუების დროს.

ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალი სტუდენტებს აწვდის ამომწურავ ინფორმაციას კურიკულუმისა და სწავლების პროცესთან დაკავშირებით აკადემიური პერსონალი სტუდენტებს მხარდაჭერას უწევს მთელი სასწავლო პროცესის განმავლობაში და საჭიროების შემთხვევაში სთავაზობს ინდივიდუალურ კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვაში. ეს ასევე დადასტურდა ინტერვიუების დროს.

სტუდენტებთან კონსულტაციები ტარდება განსაზღვრული საკონსულტაციო საათების ფარგლებში, რომლებიც მკაფიოდ არის მითითებული სილაბუსებში.

უნივერსიტეტი აქტიურად აწყობს დასაქმების ფორუმებს, რომლებიც ხელს უწყობს სტუდენტების კარიერულ განვითარებას და დასაქმებას. სასურველია, უნივერსიტეტი უფრო სისტემატურად აწყობდეს პროფესიულ საჯარო ლექციებს, სემინარებს და სხვადასხვა სახის ღონისძიებებს, რომლებიც სტუდენტების ინტერესებს შეესაბამება და მათ დამატებით ცოდნასა და ინფორმაციას მიაწვდის. ეს რეკომენდაცია სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა.

საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, SANGU მოუწოდებს სტუდენტებს, მონაწილეობა მიიღონ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო პროექტებში. დაწესებულება სტუდენტებს სთავაზობს შესაძლებლობას, მონაწილეობა მიიღონ კონფერენციებსა და სხვადასხვა ღონისძიებებში. ამ შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია აქტიურად ვრცელდება უნივერსიტეტის ვებგვერდის, სოციალური მედიისა და პირადი კომუნიკაციის საშუალებით. უნივერსიტეტი მონაწილეობს Erasmus+ პროგრამაში და ჰყავს რამდენიმე პარტნიორი უნივერსიტეტი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, რაც სტუდენტებს საზღვარგარეთ სწავლისა და საერთაშორისო დონეზე განვითარების საშუალებას აძლევს.

აღსანიშნავია ისიც, რომ მაღალი აკადემიური მიღწევების მქონე სტუდენტებისთვის მოქმედებს სტიპენდიების სისტემა, რომელიც მათ დამატებით მოტივაციას აძლევს.

SANGU მხარს უჭერს სხვადასხვა სოციალურ და კულტურულ აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტური ცხოვრების მრავალფეროვნებას. ეს მნიშვნელოვანია და კიდევ უფრო ამდიდრებს სტუდენტის საერთო გამოცდილებას. როგორც ვიზიტის დროს დადასტურდა, სტუდენტური თვითმმართველობა ორგანიზებას უწევს მრავალფეროვან აქტივობებს. სტუდენტების თქმით, ეს აქტივობები მრავალფეროვანია და ითვალისწინებს მათ ინტერესებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- დასაქმებისა და კარიერული განვითარების სამსახურის დებულება
- სწავლებისა და სწავლის პროცესის მართვის რეგულაცია
- ეთიკის კოდექსი
- ვებ-საიტი
- პროგრამების კურიკულუმები და სილაბუსები
- აკრედიტაციის ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:	რეკომენდაციები:	რჩევ(ებ)ი:
კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:	რეკომენდაციები:	რჩევ(ებ)ი: სასურველია, უნივერსიტეტმა სტუდენტების ინტერესების შესაბამისად, სისტემატურად ჩაატაროს საჯარო ლექციები, ვორქშოფები და სხვა პროფესიული ღონისძიებები. აღნიშნული, სტუდენტებს მისცემს დამატებითი ცოდნის და პრაქტიკული გამოცდილების მიღების შესაძლებლობას.
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)		
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)		

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <b>3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები</b>	შეფასება
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების ქართულენოვანი პროგრამა, ბაკალავრიატი	შესაბამისობაშია
ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების ინგლისურენოვანი პროგრამა, ბაკალავრიატი	შესაბამისობაშია

### 3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- ხელმძღვანელი კოორდინაციას უწევს დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს დოქტორანტის ხელმძღვანელის /თანახელმძღვანელის დანიშვნის, შეცვლის, ხელმძღვანელობის /თანახელმძღვანელობის განხორციელების მარეგულირებელი დოკუმენტები;
- უსდ - ს შემუშავებული აქვს დოქტორანტს, მის ხელმძღვანელს/თანახელმძღვანელს და უსდ-ს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების/შეთანხმების ფორმა, რომელშიც განსაზღვრულია ყველა მხარის უფლება-მოვალეობები; დოქტორანტის ხელმძღვანელობა გათვალისწინებულია შესაბამისი აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის საერთო საუნივერსიტეტო დატვირთვის სქემაში;
- ხელშეკრულების/შეთანხმების პირობები ხელს უწყობს ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის მიერ საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და დოქტორანტის მიერ ნაშრომის დადგენილ ვადაში დასრულებას;
- კვლევით პროცესში ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან კვლევის/შემოქმედებითი კვლევის მეთოდოლოგიურ, სტრუქტურულ, კონცეპტუალურ და სხვა საკითხებზე. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება საკვლევი თემის სპეციფიკას და დოქტორანტის ინდივიდუალურ საჭიროებებს. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, კვლევის მეთოდოლოგია, პროფესიული განვითარება, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/შემოქმედებით ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების

წარდგენის პროცესი, სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნება და სხვა;

- თანახელმძღვანელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მხარდაჭერას უწევს დოქტორანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების პროცესში ხელმძღვანელთან და დოქტორანტთან ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
- კვლევის სპეციფიკის და საჭიროების გათვალისწინებით, უსდ ხელს უწყობს დოქტორანტის კვლევის/შემოქმედებითი კვლევის პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის სტატუსით; ჩართულობას ▪ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობის დაგეგმვისას, უსდ ითვალისწინებს ხელმძღვანელების დატვირთვას, დოქტორანტთა არსებულ და მისაღებ კონტინგენტს, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- უსდ შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისა და დოქტორანტთა რაოდენობის თანაფარდობის მეთოდოლოგია, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის ეფექტურად განხორციელებას;
- უსდ - ს მიერ განსაზღვრული თანაფარდობა ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის არ აღემატება - 1:3-ს, ერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში. ხელმძღვანელსა და მისი აქტიური სტატუსის მქონე დოქტორანტებს შორის 1:5 თანაფარდობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სტატუსშეჩერებული დოქტორანტი მოითხოვს სტატუსის აღდგენას აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად წარსადგენი დისერტაციის/შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნაშრომის წარდგენის მიზნით. აღნიშნული თანაფარდობა შესაძლებელია განსხვავებულად დადგინდეს სამეცნიერო გრანტის/პროექტის პირობებიდან გამომდინარე;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობის შეფასების მექანიზმები, რომელიც უზრუნველყოფს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის პროცესის ეფექტურ განხორციელებას;

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერული შეფასება

#### აღწერა და ანალიზი

აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან, თვითშეფასების ანგარიშის (SER), თანდართული დოკუმენტების და ადგილზე ვიზიტების შედეგად შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაცივმა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1** (სახელწოდება, საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

<b>მაგისტრანტების/დოქტორანტების ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები</b> <b>პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)*</b>	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
//სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრატურის სტუდენტთა რაოდენობა	
//დოქტორანტურის სტუდენტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	
სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელების/დოქტორანტების თანაფარდობა	

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

<b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b>	რეკომენდაციები: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	რჩევ(ებ)ი: გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)
--	---	---

<sup>4</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები/რჩევები:		
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)		
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)		

### შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <u>3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ქართულენოვანი, დონე 6)	აირჩიეთ შესაბამისი
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება ინგლისურენოვანი, დონე 6)	აირჩიეთ შესაბამისი

## 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

საგანმანათლებლო პროგრამის/კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 4.1 ადამიანური რესურსი

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

**სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები**

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია მინიმუმ 5 შესაბამისი სფეროს აფილირებული აკადემიური პერსონალი, მათ შორის - მინიმუმ 3 პროფესორი ან/და ასოცირებული პროფესორი. დაწესებულებამ პროგრამის განხორციელებაში, არსებობის შემთხვევაში, ასევე უნდა უზრუნველყოს სამეცნიერო პერსონალის ჩართულობა;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის კვალიფიკაცია დასტურდება ბოლო 3 წლის განმავლობაში საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომით და/ან პრაქტიკული/შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტით, რომელიც ადასტურებს შესაბამის სფეროში მის კომპეტენტურობას;
- უსდ ხელს უწყობს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესში უცხოური უნივერსიტეტის, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის/ცენტრის პერსონალის, ან ემერიტუსის სტატუსის მქონე პირის მონაწილეობას;
- სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისა და განვითარებისთვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე აქვს სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში და არის დაწესებულების აფილირებული აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**კლასტერის შეფასება**

**კლასტერის აღწერა და ანალიზი**

საინფორმაციო ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოების პროგრამები ხორციელდება პროფესორების, ასოცირებული პროფესორების, ასისტენტ პროფესორებისა და მოწვეული ლექტორების სტრუქტურირებული კომბინაციით. აკადემიური ბირთვი მოიცავს აკადემიური პერსონალის რამდენიმე სრულ განაკვეთზე დასაქმებულ კონტრაქტს, რომელთა აქტიური ვადა ერთ სემესტრზე მეტხანს გრძელდება, რაც ხელს უწყობს პროგრამის სტაბილურობასა და უწყვეტობას. პერსონალის ცხრილი ასევე მიუთითებს, რომ რამდენიმე აკადემიურ თანამშრომელს არ აქვს აკადემიური კავშირი სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც ნიშნავს, რომ მათი ძირითადი აკადემიური სამუშაო ადგილი

არის სანგუ. ეს აძლიერებს ინსტიტუციურ ძალისხმევას და ამცირებს სამუშაო დატვირთვის ფრაგმენტაციის ან გაყოფილი აკადემიური პასუხისმგებლობის რისკს.

სასწავლო დატვირთვა გადანაწილებულია აკადემიური წოდებების/ხარისხის მიხედვით და არ მიუთითებს ცალკეულ თანამშრომლებზე საათების გადაჭარბებულ კონცენტრაციაზე. უფროსი აკადემიური პერსონალი, მათ შორის პროფესორები და ასოცირებული პროფესორები, აქტიურად არიან ჩართულნი საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში, რითაც უზრუნველყოფენ აკადემიურ ლიდერობასა და სასწავლო გეგმის ხარისხის ზედამხედველობას. მიუხედავად იმისა, რომ მოწვეული ლექტორები ჩართულნი არიან, განსაკუთრებით გამოყენებით და სპეციალიზაციაზე ორიენტირებულ კურსებში, აკადემიური ბირთვი საკმარისად ძლიერი ჩანს პროგრამის განხორციელების უწყვეტობისა და მდგრადობის უზრუნველსაყოფად. ძირითადი აკადემიური პერსონალის მრავალწლიანი კონტრაქტების არსებობა კიდევ უფრო ხელს უწყობს უნივერსიტეტის გრძელვადიან სტაბილურობას.

პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია საბაკალავროს მეექვსე დონეზე პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისთვის საჭირო აკადემიური და პროფესიული კვალიფიკაციები. ხელმძღვანელის კვალიფიკაცია დასტურდება შესაბამისი უმაღლესი განათლებით ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სფეროში, აკადემიური და/ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობით და პროგრამის პროფილთან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილებით. მტკიცებულებები მიუთითებს, რომ პროგრამის ხელმძღვანელი პირადად არის ჩართული პროგრამის შეფასებისა და განვითარების პროცესებში, მონაწილეობს სასწავლო გეგმის განხილვასა და ხარისხის უზრუნველყოფის დისკუსიებში და ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას და სტუდენტთა კონსულტირების საქმიანობას. ასეთი ჩართულობა ხელს უწყობს ეფექტურ აკადემიურ კოორდინაციასა და პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას.

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი დასაქმებულია ეროვნული კანონმდებლობისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შიდა რეგულაციების შესაბამისად. პერსონალის შერჩევისა და დანიშვნის პროცედურები რეგულირდება ინსტიტუციური წესებით, რომლებიც უზრუნველყოფენ გამჭვირვალობას, სამართლიანობასა და ობიექტურობას სამუშაოზე აყვანის/დაქირავების პროცესში. აკადემიური წოდებები/ხარისხი და ხელშეკრულების ტიპები ნათლად არის განსაზღვრული, ხოლო პერსონალის ჩართულობა შეესაბამება შიდა სამუშაო დატვირთვის რეგულაციებსა და ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს.

აკადემიური პერსონალის გარდა, სტუდენტებს მხარს უჭერს ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საკმარისი რაოდენობა, მათ შორის ხარისხის უზრუნველყოფის წარმომადგენლები, აკადემიური პროცესების კოორდინატორები, გამოცდების ცენტრის თანამშრომლები, საინფორმაციო ტექნოლოგიების პერსონალი და ბიბლიოთეკის სერვისები. ეს სტრუქტურები უზრუნველყოფენ

ინსტიტუციურ მხარდაჭერას სწავლების, სწავლის, შეფასების ადმინისტრირებისა და სტუდენტთა კონსულტირებისთვის. ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მათ ფუნქციურ პასუხისმგებლობებს, ხოლო მათი ჩართულობა ხელს უწყობს პროგრამების ეფექტურ ორგანიზებასა და განხორციელებას.

საკადრო რაოდენობრივი მონაცემები იდენტურია როგორც ქართულენოვანი, ისე ინგლისურენოვანი პროგრამებისთვის და რესურსების განაწილებაში არანაირი შეუსაბამობები არ გამოვლენილა. საერთო ჯამში, ადამიანური რესურსების სტრუქტურა აჩვენებს სათანადო აკადემიურ ლიდერობას, ინსტიტუციურ რეგულირებასა და მხარდაჭერის შესაძლებლობას პროგრამის მითითებულ დონეზე განსახორციელებლად.

რაოდენობრივი მონაცემები ორივე პროგრამისთვის ერთნაირია.

ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება (ქართული/ინგლისური), დონე 6 (სახელი, დონე) <sup>5</sup>				
პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით პერსონალი	მოიცავს დარგის მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალს <sup>6</sup>	მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	12	9	3	10
- პროფესორი	3	2	2	3
- ასოცირებული პროფესორი	5	4	1	3
- ასისტენტ-პროფესორი	3	3		3
- ასისტენტი	1			1
მოწვეული პერსონალი	7	1		-
სამეცნიერო პერსონალი				-
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით				

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- პერსონალის პროფესიული რეზიუმეები

<sup>5</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა .

<sup>6</sup> შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო დარგის კომპონენტებს

- EMIS-ის სამუშაო დატვირთვა

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცია(ები):</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ა:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</p>		
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>		

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

<p>კომპონენტი <u>4.1 ადამიანური რესურსები</u></p>	<p>შეფასება</p>
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)</p>	<p>შესაბამისობაშია</p>
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>	<p>შესაბამისობაშია</p>

## 4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ - ს შემუშავებული აქვს სამეცნიერო ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, რომელიც შეესაბამება პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქვს შესაბამისი სფეროში აკადემიური ხარისხი, აქვს ხელმძღვანელობის/თანახელმძღვანელობის გამოცდილება, ან გავლილი აქვს შესაბამისი აქტივობა (ტრენინგი, სემინარი, პროფესიული განვითარების კურსი და სხვა), ასევე აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, დოქტორანტის ხელმძღვანელს ბოლო 3 წლის განმავლობაში უსდ-ს მიერ განსაზღვრულ უცხოურ საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალში გამოქვეყნებული აქვს არანაკლებ 1 სამეცნიერო ნაშრომი (სახელოვნებო მიმართულებებში - შემოქმედებითი/საშემსრულებლო პროექტი), რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის ზოგად თემატიკას/კვლევის სფეროს;
- დოქტორანტის ხელმძღვანელი, ასევე რამდენიმე ხელმძღვანელის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი ხელმძღვანელი, წარმოადგენს დოქტორის/დოქტორთან გათანაბრებული ხარისხის მქონე უსდ-ს აკადემიურ (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი) ან/და სამეცნიერო პერსონალს. აკადემიური თანამდებობის დაკავების ნაწილში არსებული მოთხოვნა არ ვრცელდება საერთაშორისო ხელმძღვანელზე/თანახელმძღვანელზე;
- დოქტორანტის ხელმძღვანელს აქვს ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო/სახელოვნებო საზოგადოებასთან პროფესიული კავშირი (ერთობლივი კვლევები/გრანტები/პროექტები, სამეცნიერო ასოციაციები/კავშირები/ საგანმანათლებლო/სამეცნიერო დაწესებულებები);
- თანახელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები შეესაბამება დოქტორანტის სადოქტორო ნაშრომის თემატიკას/კვლევის სფეროს;
- უსდ სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელისთვის პერიოდულად უზრუნველყოფს იმგვარი ღონისძიებების (ტრენინგი, სემინარი, სამუშაო შეხვედრა და სხვა) განხორციელებას, რომელიც ხელს უწყობს ხელმძღვანელობის ეფექტურ განხორციელებას;
- უსდ-ს შემუშავებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე დოქტორანტების ხელმძღვანელების წახალისების მექანიზმები.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერის შეფასება

### კლასტერის აღწერა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

<b>პროგრამა 1 (დასახელება, საფეხური)<sup>7</sup></b>			
<b>სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა</b>	<b>ნაშრომის ხელმძღვანელები</b>	<b>მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელები<sup>8</sup></b>	<b>მათ შორის, აფილირებული აკადემიური პერსონალი</b>
<b>სულ</b>			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			-
სამეცნიერო პერსონალი			-
მათ შორის, საერთაშორისო პერსონალის			

<sup>7</sup> აუცილებლობის შემთხვევაში კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამებისათვის დაამატეთ ცხრილების შესაბამისი რაოდენობა.

<sup>8</sup> ნაშრომის ხელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ საგანმანათლებლო პროგრამით მისანიჭებული კვალიფიკაციის შესაბამისი დოქტორის ხარისხი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცია(ები):</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ა:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</p>		
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>		

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

<p>კომპონენტი <b>4.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია</b></p>	<p><b>შეფასება</b></p>
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)</p>	<p>აირჩიეთ შესაბამისი</p>

პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)	აირჩიეთ შესაბამისი
---	--------------------

#### 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

##### კლასტერის შეფასება

##### კლასტერის აღწერა და ანალიზი

ორივე პროგრამაში მომუშავე აკადემიური პერსონალი აქტიურ ჩართულობას ავლენს პროფესიულ და აკადემიურ განვითარებაში. რეცენზირებული პუბლიკაციებისა და სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის გარდა, რამდენიმე თანამშრომელს აქვს კიბერუსაფრთხოების სფეროს პროფესიული სერტიფიკატები, მათ შორის Cisco-ს სერტიფიკატები, და გავლილი აქვს სპეციალიზებული ტრენინგი კიბერუსაფრთხოების სფეროებში. გარდა ამისა, ზოგიერთ თანამშრომელს აქვს საერთაშორისო კვალიფიკაცია, მათ შორის, აშშ-ის უნივერსიტეტთან ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული მაგისტრის ხარისხი კიბერუსაფრთხოებაში, რაც აძლიერებს პროგრამების საერთაშორისო და დარგობრივ აკადემიურ პროფილს. ეს კვალიფიკაციები აძლიერებს კიბერუსაფრთხოებისა და ქსელის უსაფრთხოების კურსების პრაქტიკულ ორიენტაციას და ხელს უწყობს სასწავლო პროგრამის ფარგლებში თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ინტეგრაციას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ატარებს პროგრამის პერსონალის რეგულარულ და სისტემურ შეფასებას თავისი შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს ფარგლებში. აკადემიური პერსონალის საქმიანობა ფასდება მრავალი მექანიზმის მეშვეობით, მათ შორის: ყოველ სემესტრში ჩატარებული სწავლების სტუდენტური შეფასებები, სასწავლო კურსების შეფასების შედეგების ანალიზი, სასწავლო დატვირთვის განხილვა, სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური წვლილის შეფასება. საჭიროების შემთხვევაში, პერსონალის კმაყოფილების და უკუკავშირის მექანიზმები ასევე განიხილება ინსტიტუციური შეფასების პროცესებში. ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი რეგულარულად აანალიზებს შეფასების შედეგებს და აცნობებს პროგრამის

ხელმძღვანელობასა და პერსონალის ცალკეულ წევრებს. გამოვლენილი გასაუმჯობესებელი სფეროები აისახება პროფესიული განვითარების დაგეგმვაში, ხოლო პერსონალის წევრებს მოუწოდებენ ან ურჩევენ მონაწილეობა მიიღონ შესაბამის ტრენინგში, მეთოდოლოგიურ ვორქშოფებში, საგნის სპეციფიკურ სემინარებში ან პედაგოგიური უნარების განვითარების აქტივობებში. ამგვარად, შეფასების შედეგები პირდაპირ უკავშირდება პერსონალის განვითარების ღონისძიებებსა და უწყვეტ პროფესიულ გაუმჯობესებას.

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს ინსტიტუციურ პირობებსა და რესურსებს პროფესიული განვითარებისთვის. იგი ორგანიზებას უწევს შიდა მეთოდოლოგიურ შეხვედრებს, ტრენინგებს და პროფესიული განვითარების აქტივობებს მინიმუმ აკადემიური წლის განმავლობაში ერთხელ და ხელს უწყობს მონაწილეობას გარე სამეცნიერო კონფერენციებში, კვლევით სემინარებსა და აკადემიურ ქსელურ ღონისძიებებში ორგანიზაციული და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური მხარდაჭერის საშუალებით. პერსონალის განვითარების დოკუმენტაცია და გასაუბრების მტკიცებულებები ადასტურებს, რომ ეს ინსტიტუციური მექანიზმები ფუნქციონირებს და რეგულარულად ხორციელდება. დაწესებულება ასევე ხელს უწყობს ციფრული და ელექტრონული სწავლების კომპეტენციების განვითარებას ელექტრონულ სასწავლო პლატფორმებსა და სასწავლო ტექნოლოგიებზე წვდომის უზრუნველყოფით და, საჭიროების შემთხვევაში, კომბინირებული და დისტანციური სწავლების ინსტრუმენტების ეფექტიანად გამოყენებისთვის ტრენინგების ორგანიზებით ან ხელშეწყობით.

საერთო ჯამში, უნივერსიტეტი თანამშრომელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარებისადმი სტრუქტურირებულ და ინსტიტუციონალიზებულ მიდგომას ავლენს, აკადემიური ზრდისთვის ორგანიზაციულ და რესურსულ მხარდაჭერას უზრუნველყოფს და ხელს უწყობს პროგრამების მიზნებთან და სპეციალიზაციასთან შესაბამის სამეცნიერო-კვლევით აქტივობას.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომლისთვისაც გაიცემა რეკომენდაცია და/ან რჩევა.

### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება და საფეხური)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- პერსონალის შეფასების შედეგები, აგრეთვე პერსონალის კმაყოფილების კვლევის შედეგები (კვლევისა და სწავლების ხარისხის, საერთაშორისო მობილობის მონაცემების ჩათვლით და ა.შ.) და მათი გამოყენება პერსონალის მართვასა და განვითარებაში;
- გასაუბრების შედეგები

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცია(ებ):</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევა(ებ):</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</p>		
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>		

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

<p><b>კომპონენტი 4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</b></p>	<p><b>შეფასება</b></p>
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და</p>	<p>შესაბამისობაშია</p>

კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)	
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია

#### 4.4. მატერიალური რესურსი

##### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

##### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისათვის დოქტორანტის მხარდაჭერ და დაფინანსების მექანიზმებს;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი ითვალისწინებს აკადემიური და/ან სამეცნიერო პერსონალის მიერ კვლევების განხორციელებისათვის ხელისშემწყობ ფინანსური მხარდაჭერის წყაროებს/მექანიზმებს, მათ შორის სამეცნიერო სტატიების საერთაშორისო ინდექსის მქონე რეფერირებად (peer-reviewed) ჟურნალებში გამოქვეყნების, სამეცნიერო კონფერენციებში, სამეცნიერო მივლინებებში, კვლევით/შემოქმედებით პროექტებში მონაწილეობის, მონოგრაფიების გამოცემისთვის და სხვა სამეცნიერო-კვლევითი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო აქტივობებისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების დაფინანსებას;
- უსდ-ს/ფაკულტეტის/სკოლის/პროგრამის ბიუჯეტი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტური განხორციელების მიზნით, ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი/სახელოვნებო ინფრასტრუქტურის განვითარებას;
- უსდ ხელს უწყობს გარე დაფინანსების წყაროების მოძიებას სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე მიზნობრივი კვლევების განხორციელებისათვის.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

##### კლასტერის შეფასება

##### კლასტერის აღწერა და ანალიზი

უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მატერიალურ და ტექნიკურ ინფრასტრუქტურას, მათ შორის:

- ხუთი კომპიუტერული ლაბორატორია (120-ზე მეტი პერსონალური კომპიუტერი)  
ცენტრალიზებული მართვის სისტემითა და ვირტუალური სერვერებით, რომლებიც

უზრუნველყოფენ რესურსების დინამიურ განაწილებას ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების/კიბერუსაფრთხოების ამოცანებისთვის.

- სამეცადინო ოთახები აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო ტექნოლოგიებით (ჭკვიანი დაფები, პროექტორები, პერსონალური კომპიუტერები).
- ლიცენზირებულ პროგრამულ პაკეტებსა და შემუშავების გარემოზე წვდომა (Microsoft Academic, JetBrains Student Pack, cloud და IDE ინსტრუმენტები).
- ონლაინ სასწავლო პლატფორმა (Moodle), რომელიც ინტეგრირებულია თანამშრომლობისა და ლექციების ჩატარების ინსტრუმენტებთან (BigBlueButton, Google Meet, Microsoft Teams, Zoom) და უზრუნველყოფილია მონაცემთა სარეზერვო ასლების მძლავრი სისტემებით.
- უფასო Wi-Fi კამპუსის მასშტაბით.

ეს რესურსები შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს პრაქტიკული სამუშაოს, სიმულაციების, პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავების, ქსელური და უსაფრთხოების ლაბორატორიებისა და დამოუკიდებელი კვლევის მიმართულებით, რაც უმნიშვნელოვანესია საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების სფეროში პროგრამული მიზნებისა და სასწავლო შედეგების მისაღწევად.

ინტერნეტის ორმაგი კავშირი ავტომატური გადართვისა და დატვირთვის დაბალანსების ფუნქციით, ციფრული და ონლაინ სწავლებისთვის აუცილებელი საიმედო კავშირისადმი მუდმივ ყურადღებას აჩვენებს. ცენტრალიზებული ლაბორატორიის მართვა საშუალებას იძლევა განახლებული პროგრამული უზრუნველყოფისა და სერვისების დანერგვას მოწყობილობებზე. აკადემიური ლიცენზირების ხელშეკრულებები უზრუნველყოფს მიმდინარე ვერსიების კრიტიკულად მნიშვნელოვან ინსტრუმენტებზე (Microsoft, JetBrains, Google Education) მუდმივ წვდომას. თანამედროვე აპარატურაზე ადმინისტრაციული და აკადემიური წვდომა და მუდმივი ტექნიკური მომსახურება რეაგირებად ინფრასტრუქტურას გულისხმობს.

სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, რაც აკმაყოფილებს პროგრამის ძირითად საჭიროებებს. ბიბლიოთეკა უზრუნველყოფს ელექტრონულ წვდომასა და ინფრასტრუქტურას (კომპიუტერები, სკანერები), რაც ხელს უწყობს სწავლისა და კვლევის პროცესს. ეს აკმაყოფილებს მოთხოვნას, რომ ძირითადი ლიტერატურა და სასწავლო მასალები შეესაბამებოდეს კურსის სასწავლო შედეგებს და უზრუნველყოფდეს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას, განსაკუთრებით ციფრულ მონაცემთა ბაზებთან კომბინირებისას.

სტუდენტებს აქვთ წვდომა უახლეს სამეცნიერო პერიოდულ გამოცემებზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, გაეცნონ ინფორმაციულ-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების თანამედროვე

კვლევით ტენდენციებს. საქართველოს ბიბლიოთეკების კონსორციუმში გაწვევრიანება და ამის მეშვეობით ელექტრონულ სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო რესურსებზე უფრო ფართო ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს. გაერთიანებები (ELFE კონსორციუმი და IATUL-ის, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკების საერთაშორისო ასოციაციის წევრობა) აძლიერებენ საბიბლიოთეკო რესურსების ქსელებს და ხელს უწყობენ გლობალურ ლიტერატურასა და მონაცემთა ბაზებზე წვდომას. ეს დებულებები ხელს უწყობს სტუდენტებს გაეცნონ მიმდინარე სამეცნიერო მტკიცებულებებსა და კვლევებს, რაც აუცილებელია კვლევითი წიგნიერებისა და პროფესიული კომპეტენციის მიღწევასთან დაკავშირებული სასწავლო შედეგების მისაღწევად.

ყველა რესურსი (ფიზიკური ლაბორატორიები, ბიბლიოთეკის კომპიუტერები, პროგრამული ინსტრუმენტები, ციფრული პლატფორმები) თავისუფლად ხელმისაწვდომია რეგისტრირებული სტუდენტებისა და პერსონალისათვის. Moodle და ონლაინ სისტემები აერთიანებს სწავლისთვის საჭირო ინსტრუმენტებს და უზრუნველყოფს დისტანციურ წვდომას სასწავლო აქტივობებსა და მასალებზე. ინფორმაციულ რესურსებზე, როგორცაა ელექტრონული მონაცემთა ბაზები, წვდომა უფასოა და ხელმისაწვდომია კონსორციუმის შეთანხმებების საშუალებით.

ონლაინ მხარდაჭერის არხებისა და Moodle-ის მსგავსი სტრუქტურირებული პლატფორმების არსებობა გულისხმობს წვდომის შესახებ გარკვეულ დონეზე კომუნიკაციას. Moodle-ის პლატფორმა, BigBlueButton-თან, Google Meet-თან, Teams-თან, Jitsi-სა და Zoom-თან ერთად, ქმნის სტაბილურ/საიმედო გარემოს ელექტრონული/დისტანციური განათლებისთვის. სარეზერვო სისტემები და უსაფრთხო ავტორიზაციის მექანიზმები უზრუნველყოფს ონლაინ რესურსების უწყვეტობას და საიმედოობას. სტუდენტებსა და პერსონალს აქვთ შესაბამისი აპარატურული/პროგრამული რესურსები დისტანციური სწავლებისა და შეფასების მხარდასაჭერად. ჰიბრიდული და ონლაინ სწავლების მიმდინარე ტენდენციების გათვალისწინებით, ეს შესაძლებლობა ხელს უწყობს სწავლებისა და სწავლის მოქნილ რეჟიმებს და სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებს.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაცივმა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

#### **აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაცივმა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ბიბლიოთეკა, მასალები, საინფორმაციო და ციფრული რესურსები და მათი საკუთრების / ლიცენზიის შექმნის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ტექნიკური დანადგარების შეფარდება სტუდენტთა რაოდენობასთან;
- წვდომა საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკების მონაცემთა ბაზებზე;
- ბიბლიოთეკის წიგნების შესაბამისობა საგანმანათლებლო პროგრამებში მითითებულ ძირითად ლიტერატურასთან;
- საერთაშორისო ელექტრონული ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომის ინდიკატორები;
- ინტერვიუს შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცია(ები):</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ი:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</p>		
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>		

**შეფასება**

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

<p>კომპონენტი <b>4.4. მატერიალური რესურსი</b></p>	<p>შეფასება</p>
---	-----------------

პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია

#### 4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

##### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი კვლევითი და სახელოვნებო-შემოქმედებითი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით (სამეცნიერო ლაბორატორია, კომპიუტერული რესურსი, საინფორმაციო რესურსი, ციფრული რესურსი, დოქტორანტთა ინდივიდუალური სამუშაო სივრცეები და სხვა), რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევისათვის;
- დოქტორანტებისთვის ხელმისაწვდომია საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდი, უახლესი სამეცნიერო პერიოდული გამოცემები, საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები, რომლებიც აძლევს მათ საშუალებას, როგორც უნივერსიტეტის ტერიტორიიდან, ასევე სხვა ნებისმიერი ლოკაციიდან, ჰქონდეთ წვდომა და გაეცნონ კვლევის სფეროს შესაბამის სამეცნიერო რესურსებს პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად;
- უსდ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის განხორციელების მიზნით, ხელს უწყობს სამეცნიერო-კვლევითი ინფრასტრუქტურის გაზიარებას, როგორც დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ, სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებებს შორის;
- უსდ მუდმივად ზრუნავს სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი ინფრასტრუქტურის განახლებასა და განვითარებაზე.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

##### კლასტერის შეფასება

##### კლასტერის აღწერა და ანალიზი

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სანგუში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების პროგრამების ფინანსური ჩარჩო წარმოადგენს ისტორიული დამოკიდებულებიდან გადასვლას გარე სუბსიდიებზე ინსტიტუციური ფინანსური დამოუკიდებლობის მოდელისკენ. მიუხედავად იმისა, რომ გათვალისწინებული ბიუჯეტი აჩვენებს ოპერაციულ პროფიციტს /სიჭარბეს, პროგრამის მდგრადობა ამჟამად დაფუძნებულია პირობით და პროგნოზირებულ ციფრებზე, რაც წარმოადგენს კონკრეტულ რისკებს, რომელთა მართვაც უნივერსიტეტის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს.

პროგრამის ინგლისურენოვანი კომპონენტის ბიუჯეტი ითვალისწინებს ჯამურ შემოსავალს 247,500 ლარის ოდენობით, რომელიც მთლიანად "ფასიანი განათლებისგან" (სწავლის საფასური) მიიღება. ეს სრულიად დამოკიდებულია ჩარიცხული სტუდენტების 100%-იან რაოდენობაზე, რაც მომავალი ციკლისთვის ჯერ კიდევ გარანტირებული არ არის. იმის გათვალისწინებით, რომ უნივერსიტეტის SWOT ანალიზი მნიშვნელოვან საფრთხეებად ცალსახად განსაზღვრავს "სხვა უნივერსიტეტებთან კონკურენციას" და "დემოგრაფიულ და მაღალი ემიგრაციის ფაქტორებს", შემოსავლის მიღების ეს მოდელი ეფუძნება გაზრდილ სწავლის საფასურს და ფასების რყევების მიმართ ბაზარზე მაღალ მგრძობილობას განაპირობებს. თუ ჩარიცხვის სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც მაქსიმუმ 120 სტუდენტის მიღების საშუალებას იძლევა, არ შესრულდა, პროგრამის შესაძლებლობა, დაფაროს თავისი მაღალი ფიქსირებული ხარჯები, განსაკუთრებით კი აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე გამოყოფილი 141,500 ლარი, შესაძლოა, საფრთხის ქვეშ დადგეს.

ისტორიულად, სანგუ მთავრობის სუბსიდიებით ფუნქციონირებდა, მაგრამ მიმდინარე სტრატეგიული განვითარების გეგმა (2026-2032) წარმოადგენს პირველ სისტემურ მცდელობას, შეიქმნას თვითმდგრადი ფინანსური ეკოსისტემა. სტრატეგიული მიზანი 9 კონკრეტულად მიზნად ისახავს ფინანსური სტაბილურობის უზრუნველყოფას შემოსავლების დივერსიფიკაციის გზით. მიუხედავად იმისა, რომ ბიუჯეტი ამჟამად დაახლოებით 64,492 ლარის პროფიციტს აჩვენებს, ეს რეზერვი/ ბუფერი აუცილებელია იმ რისკების შესამცირებლად, რომლებიც დაკავშირებულია ინსტიტუტის პირველ ნაბიჯებთან ფისკალური ავტონომიისკენ. ადმინისტრაციამ დაგეგმა სწავლის საფასურზე დამოკიდებულების შემცირება სხვა ეკონომიკური საქმიანობებიდან შემოსავლების 5-10%-იანი წლიური ზრდისა და წელიწადში მინიმუმ ორი ახალი გრანტის განაცხადის წარდგენის მიზნით. თუმცა, რადგან ეს წყაროები (მაგალითად, სამეცნიერო გრანტები და საბიუჯეტო გრანტები) ამჟამად ნულოვანია პროგნოზში, პროგრამა რჩება ფინანსური დამოუკიდებლობის დაუცველ "საპილოტე" ფაზაში.

დამოკიდებულებასთან დაკავშირებული რისკების მიუხედავად, რესურსების მიმდინარე განაწილება კარგად შეესაბამება პროგრამის სპეციალიზებულ საჭიროებებს. ბიუჯეტი 15 000 ლარს გამოყოფს სამეცნიერო ღონისძიებებისთვის და 5 000 ლარს სამეცნიერო გრანტების თანადაფინანსებისთვის, რაც ხელს უწყობს კვლევებზე ორიენტირებული პროფილისკენ მიმართულ სტრატეგიულ ნაბიჯს. გარდა ამისა, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, მათ შორის Microsoft Hyper-V-სა და JetBrains-ის ლიცენზიებს, რომლებიც გადამწყვეტია პროგრამის განსახორციელებლად. ადმინისტრაციის გამოწვევა იქნება ამ მაღალბიუჯეტის ტექნიკური რესურსების შენარჩუნება, თუ სწავლის საფასურიდან შემოსავლების მიზნები ნაწილობრივ უპასუხოდ დარჩება.

უნივერსიტეტმა დააწესა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი სტუდენტების ნაკადების შემოდინებისა და გადინების მონიტორინგისთვის, რომელიც ფინანსური რისკების ადრეული გაფრთხილების სისტემის ფუნქციას ასრულებს. ჩარიცხვის ტენდენციებთან ერთად მატერიალური და ადამიანური რესურსების შეფასებით, ადმინისტრაციას შეუძლია თეორიულად შეცვალოს ბიუჯეტი მდგრადობის შესანარჩუნებლად. დამატებით, "კვლევითი პროექტების დაფინანსების წესი" უნივერსიტეტს საშუალებას

ამლევს, უზრუნველყოს შიდა სუბსიდიები სამეცნიერო განვითარებისთვის, რაც დამოუკიდებლობისკენ მიმავალ ამ გარდამავალ პერიოდში მეორადი დამხმარე ფუნის როლს ასრულებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის ბიუჯეტი
- სანგუ-ს სტრატეგიული განვითარების გეგმა 2026-2032;
- SWOT ანალიზი;
- კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი;
- ინტერვიუების შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცია(ებ):</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევა(ებ):</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</p>		<p>სასურველია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს ფორმალიზებული „სარეზერვო ფინანსური გეგმა“, რომელშიც განსაზღვრული იქნება ბიუჯეტის კორექტირების კონკრეტული ზომები იმ შემთხვევისთვის, თუ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების პროგნოზირებული მაჩვენებელი 70%-ზე ნაკლები იქნება, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს ტექნიკური ინფრასტრუქტურის დაფინანსება.</p> <p>სასურველია, უნივერსიტეტმა დააჩქაროს შემოსავლების დივერსიფიცირება მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამების განხორციელების კონკრეტული ვადების განსაზღვრით (როგორც ეს დაგეგმილია მე-12 მიზანში), რაც სწავლის გადასახადის მიღმა შექმნის დამოუკიდებელი შემოსავლის მიღების შესაძლებლობას.</p> <p>სასურველია, შემუშავდეს „მდგრადობის სარეზერვო ფონდი“ პროგნოზირებული შემოსავლის ნაწილის გამოყენებით,</p>

		იმისათვის, რომ პროგრამა დაცული იყოს ინსტიტუციური რისკებისგან და არ იყოს დამოკიდებული მხოლოდ სახელმწიფო დაფინანსებაზე.
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)		
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)		

### შეფასება

კომპონენტი 4.5. <u>პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია

პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია
---	-----------------

## 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად, პროგრამა იყენებს ხარისხის შიდა და გარე უზრუნველყოფის სერვისებს და აგრეთვე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და გადახედვას. და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

### 5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

#### სადოქტორო პროგრამის ინდიკატორები

- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები ითვალისწინებს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის, რესურსების, დოქტორანტის მხარდაჭერი მექანიზმების შეფასებას. შეფასების შედეგები გამოიყენება სადოქტორო პროგრამის, უსდ-ს საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის ფარგლებში ფასდება პროგრამის სასწავლო და სამეცნიერო კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალის, მათ შორის სადოქტორო ნაშრომის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის საქმიანობა და შეფასების შედეგები გამოიყენება პერსონალის საქმიანობის გასაუმჯობესებლად;
- სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა რეგულარულად იყენებს განმავითარებელ კოლეგიალურ შეფასებას სადოქტორო პროგრამისა და კვლევითი გარემოს გაუმჯობესების მიზნებისთვის;
- სადოქტორო პროგრამის განვითარების მიზნით, სადოქტორო პროგრამის განხორციელების შეფასებაში ჩართულია ყველა დაინტერესებული კურსდამთავრებული, პერსონალი, დოქტორანტის მხარე (დოქტორანტი, ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი, დამსაქმებელი და სხვა).

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### კლასტერის შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

სანგუს უნივერსიტეტში საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების პროგრამების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის (ხუ) სისტემა ეფუძნება პროგრამის პერსონალის, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის თანამშრომლობით ჩარჩოს. დაწესებულება იცავს "დაგეგმე-გააკეთე/განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე" (PDCA) პრინციპს და შეფასების შედეგებს სასწავლო პროგრამის უწყვეტ განვითარებაში აერთიანებს.

პროგრამების ხელმძღვანელებსა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის თანამშრომლობა სისტემატურად დოკუმენტირებულია შეხვედრების ოქმებითა და სამუშაო პროტოკოლებით. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი უზრუნველყოფს მეთოდოლოგიურ ხელმძღვანელობას სასწავლო პროგრამების (სილაბუსების) შემუშავებისა და სასწავლო შედეგების ფორმულირებისას. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების ინსტრუმენტები არსებობს, ადგილზე ვიზიტის შედეგები მიუთითებს, რომ კურსის მიზნებსა და პროგრამის დონის შედეგებს შორის შესაბამისობის ცხრილები შეიძლება დამატებით დაიხვეწოს, რათა სასწავლო გეგმის შიდა ლოგიკა სრულად გამჭვირვალე და გაზომვადი იყოს. ამ შესაბამისობის ცხრილების დაზუსტება განმარტავს, თუ როგორ გაერთიანდება კონკრეტული კურსების შეფასებები პროგრამის ზოგადი შედეგების მიღწევის დემონსტრირებისთვის. ეს საკითხი სტანდარტის 1-ელ სექციებში უფრო დეტალურად არის განხილული.

თვითშეფასების ანგარიშის (თა) შემუშავება წარმოადგენდა პროცესს, რომელშიც ბევრი დაინტერესებული მხარე იყო ჩართული, რომელსაც სპეციალური სამუშაო ჯგუფი ხელმძღვანელობდა. ეს თანამშრომლობითი ძალისხმევა წარმატებით მოიცავდა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და დამსაქმებლებს გამოკითხვებისა და დისკუსიის სესიების საშუალებით. ხარისხის ციკლის "შემოწმების" ეტაპის კიდევ უფრო გასაძლიერებლად, სასურველია ინდივიდუალური კურსების ინსტრუქტორების ჩართულობის გაღრმავება შედეგების მონაცემების პირდაპირ ანალიზში. ეს ხელს შეუწყობს უფრო მტკიცე "ქვემოდან-ზევით" ხარისხის კულტურის ჩამოყალიბებას, სადაც თითოეული ინსტრუქტორი თავისი სტუდენტების მიღწევების მეტრიკის მთავარი ანალიტიკოსია.

პროგრამას აქვს დადებითი ისტორია ხარისხის უზრუნველყოფის შედეგების გამოყენების გაუმჯობესების მიზნით, როგორცაა მაღალი მოთხოვნის კურსების დამატება, როგორცაა ReactJS და DevOps დამსაქმებლის უკუკავშირის საფუძველზე.

უნივერსიტეტი იყენებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემებს (LMS) სანგუსა და Moodle-ს პლატფორმებს, რომელთა მონიტორინგს ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რათა უზრუნველყოფილ იქნას სასწავლო მასალების გამჭვირვალობა და შეფასების კრიტერიუმების განხორციელება. ციფრული ინფრასტრუქტურა მხარს უჭერს ხარისხის ციკლის "მოქმედების" ფაზას, რეალურ დროში მონიტორინგის საშუალებით. ადგილზე ვიზიტის შედეგად გაცემული ტექნიკური რჩევები მოიცავს ამ პლატფორმების ოპტიმიზაციას, რათა სტუდენტებმა შეფასებულ დავალებებზე კიდევ უფრო მეტი პირდაპირი უკუკავშირი მიიღონ და გაუმჯობესდეს ფორმაციული სწავლის გამოცდილება.

სანგუს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აჩვენებს სისტემატურ ვალდებულებას თვითშეფასების ანგარიშის (თა) მომზადებისას გამოვლენილი სისუსტეების აღმოფხვრის მიმართ. ეს პროცესი უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის ფუნქციური კომპონენტია და არა სტატისტიკური ანგარიშგების პროცედურა. მაგალითად, თვითშეფასების ანგარიშზე (თა) მუშაობის პროცესმა გამოავლინა სწავლის შედეგების შეფასების ფორმალიზების კრიტიკული საჭიროება. ამის საპასუხოდ, ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტმა, პროგრამის პერსონალთან უწყვეტი თანამშრომლობით, შეიმუშავა და ამჟამად ახორციელებს შეფასების ახალ მეთოდოლოგიას, რომელიც

შექმნილია კიბერუსაფრთხოების სპეციალიზებული კომპეტენციების გასაზომად. ამ "სისუსტეების აღმოფხვრის" სამუშაო პროცესის ფარგლებში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და პერსონალი ასევე განიხილავენ შიდა აუდიტის დროს გამოვლენილ ტექნიკურ საკითხებს, როგორცაა ხარისხის მაჩვენებლების შეგროვების ავტომატიზაცია, პროგრამის ნომენკლატურის დახვეწა და კურსების სახელწოდებების დეტალური აკადემიური სფეროს კოდთან სრულყოფილი სინქრონიზაციის უზრუნველყოფა. ეს ერთობლივი/კოლაბორაციული "დაგეგმე-გააკეთე-შეამოწმე-იმოქმედე" ციკლი უზრუნველყოფს, რომ თვითშეფასების ანგარიშის შედეგები პირდაპირ განაპირობებს დოკუმენტირებულ ადმინისტრაციულ და პედაგოგიურ გაუმჯობესებას.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამები და სილაბუსები.
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები
- დაინტერესებული მხარეების კვლევის შედეგები (სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები)
- პროგრამისა და კურსების შესაბამისობის ცხრილები და შეფასების რუბრიკები
- LMS სანგუ-სა და Moodle-ის პლატფორმის მართვის პროტოკოლები
- ინტერვიუების შედეგები

<b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b>	<b>რეკომენდაცია(ები):</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)	<b>რჩევ(ებ)ი:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)
--	---	--

<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</p>		<ul style="list-style-type: none"> <li>• სასურველია, ტექნიკურად დაიხვეწოს შესაბამისობის რუკის ცხრილები, იმისათვის რომ, კავშირი კურსის დონის მიზნებს და პროგრამის დონის სწავლის შედეგებს შორის იყოს მკაფიოდ განსაზღვრული და უზრუნველყოს მარტივად შეფასება.</li> <li>• სასურველია, სასწავლო კურსების განმახორციელებლებს ჩაუტარდეთ სპეციალიზებული ხარისხის უზრუნველყოფის სამუშაო შეხვედრები, რაც მათ დაეხმარება შეიმუშაონ მრავალფეროვანი და მიზანმიმართული შეფასების ინსტრუმენტები, რომლებიც ზოგადი რუბრიკების მიღმა ასახვას კიბერუსაფრთხოების სპეციალიზებულ კომპეტენციებს.</li> </ul>
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>		

## შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

<p>კომპონენტი <a href="#">5.1. შიდა ხარისხის შეფასება</a></p>	<p>შეფასება</p>
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)</p>	<p>შესაბამისობაშია</p>
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)</p>	<p>შესაბამისობაშია</p>

კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)	
---	--

## 5.2. გარე ხარისხის შეფასება

### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

**კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### კლასტერის შეფასება

#### კლასტერის აღწერა და ანალიზი

ეროვნული აკრედიტაციის ცენტრის (საქართველოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი) რეგულარული მიმოხილვების/შემოწმებების გარდა, სანგუს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების პროგრამები აჩვენებს პროაქტიულ ერთგულებას გარე ხარისხის უზრუნველყოფისა და საერთაშორისო აკადემიური სტანდარტებისა და ადგილობრივი ინდუსტრიის მოთხოვნების შესაბამისად შედარების მიმართ. ინსტიტუტმა ჩამოაყალიბა მკაფიო გზა გარე ექსპერტიზის ინტეგრირებისთვის პერიოდული მიმოხილვის ციკლებში.

პროგრამის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ფორმალურმა გარე შეფასებებმა. უნივერსიტეტმა სათანამშრომლოდ მოიხიდა საერთაშორისო ექსპერტები, კერძოდ, ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტიდან, და აგრეთვე ადგილობრივი დარგის წარმომადგენლები და მათი პოზიციები/პერსპექტივები — დიდი ქართული ბანკის ტექნიკური დირექტორის სახით. ამ შემფასებლებმა წარმოადგინეს ყოვლისმომცველი მიმოხილვები, რომლებმაც დაადასტურეს პროგრამის შესაბამისობა ისეთ გლობალურად აღიარებულ ჩარჩოებთან, როგორცაა ACM IT2017 და CC2020. დოკუმენტაცია აჩვენებს, რომ ამ შეფასებების შედეგები მხოლოდ არქივში არ დარჩენილა; მათ განაპირობეს სასწავლო პროგრამის კონკრეტული განახლებები, მათ შორის, მაღალი მოთხოვნადობის მქონე ინდუსტრიული ინსტრუმენტების ინტეგრაცია და მეტი აქცენტი ღრუბლოვანი ტექნოლოგიებსა და DevOps-ზე.

სანგუ სისტემატურ მიდგომას იყენებს მარეგულირებელი და აკრედიტაციის ორგანოების რეკომენდაციების შესასრულებლად. უნივერსიტეტის სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი მოიცავს წარსული ავტორიზაციის შედეგების ანალიზს ინსტიტუციური ზრდის ხელშესაწყობად. მიმდინარე აკრედიტაციის ციკლის განმავლობაში, პროგრამამ გამოავლინა მზაობა, დახვეწოს თავისი სტრუქტურა ექსპერტული უკუკავშირის საფუძველზე. მიუხედავად იმისა, რომ ადგილზე ვიზიტისას გამოვლინდა რამდენიმე გასაუმჯობესებელი ტექნიკური საკითხი — როგორცაა შესაბამისობის ცხრილები და ერთი კონკრეტული კურსის სათაურის სიზუსტე — უნივერსიტეტის შიდა პროტოკოლები უკუკავშირის უზრუნველყოფის შესახებ მიუთითებს, რომ ეს მცირე შეუსაბამობები მოგვარდება დადგენილი ხარისხის უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის სამუშაო პროცესის მეშვეობით.

პროგრამა სილაბუსის შემუშავების პროცესში ადგილობრივი პრაქტიკოსებისა და საერთაშორისო კოლეგების ჩართულობით უზრუნველყოფს განვითარებაზე ორიენტირებულ კოლეგიალურ შეფასებას. მაგალითად, სექტორული საბჭოს ინდუსტრიის ექსპერტებმა უკუკავშირი მოგვარდეს, რის შედეგადაც დაემატა ისეთი სპეციალიზებული კურსები, როგორცაა ReactJS და ავტომატიზებული ტესტირება (QA).

კვლევითი გარემოს კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად, გარე შემფასებლებმა რეკომენდაცია გასცეს სპეციალური კურსის — კვლევითი მეთოდოლოგიის — დანერგვაზე. დაწესებულება ამჟამად განიხილავს, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ უკუკავშირის საუკეთესოდ ინტეგრირება 240 ECTS კრედიტის ჩარჩოში.

**ინდივიდუალური შეფასება** - სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის ინდივიდუალური შეფასება, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა.

**აღწერა და ანალიზი - პროგრამა 1 (სახელწოდება, საფეხური)**

საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ სადოქტორო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ან იმ საგანმანათლებლო პროგრამის, რომელზეც გაიცემა რეკომენდაცია ან/და რჩევა, მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამები და სილაბუსები.
- გარე შეფასების ანგარიში (ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტი);
- გარე შეფასების ანგარიში დარგის ექსპერტის მიერ;
- შრომის ბაზრის კვლევა, რომელშიც 20 კერძო და საჯარო სექტორის დამსაქმებელი მონაწილეობდა;
- პროტოკოლები, რომლებიც ასახავს სასწავლო გეგმის კორექტირებებსა და განახლებებს;
- სტრატეგიული განვითარების გეგმის მიზნები ინტერნაციონალიზაციისა და აკრედიტაციის კუთხით.
- ინტერვიუების შედეგები;

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცია(ები):</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ა:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</p>		

პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)		
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)		

### შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <a href="#">5.2. გარე ხარისხის შეფასება</a>	შეფასება
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია

### 5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

#### აკრედიტაციის სტანდარტების ინდიკატორები

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

#### კლასტერის შეფასება

კლასტერის აღწერა და ანალიზი

სანგუმ შექმნა სისტემური ჩარჩო საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და კიბერუსაფრთხოების პროგრამების უწყვეტი მონიტორინგისა და პერიოდული გადახედვა/მიმოხილვისთვის. ეს პროცესი მიზნად ისახავს სასწავლო პროგრამის მუდმივ შესაბამისობაში მოყვანას ტექნოლოგიურ პროგრესთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, ყველა ძირითადი დაინტერესებული მხარის ჩართულობით სტრუქტურირებული უკუკავშირის მექანიზმის მეშვეობით.

მონიტორინგის პროცესს ხელმძღვანელობენ პროგრამების ხელმძღვანელები ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტთან და სკოლის სექტორულ/დარგობრივ საბჭოსთან თანამშრომლობით. დოკუმენტაცია ცხადყოფს კერძო სექტორთან მაღალ დონეზე ჩართულობას; პროგრამის კომპეტენციების დასადასტურებლად/ვალიდაციისთვის გამოყენებულ იქნა კვლევა, რომელშიც 20 დამსაქმებელი მონაწილეობდა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები აჩვენებს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ამ სფეროში მომუშავე კურსდამთავრებულებთან ერთად, აქტიურად არიან ჩართულნი სასწავლო პროგრამების განხილვაში, რათა უზრუნველყონ მათი შესაბამისობა თანამედროვე გამოწვევებთან. სექტორული/დარგობრივი საბჭოს ჩართულობა განსაკუთრებული ძლიერი მხარეა, რადგან ის უშუალო კავშირს ქმნის აკადემიური პროგრამებისა და ინდუსტრიის მოთხოვნებს შორის.

უნივერსიტეტი აჩვენებს პროგრამის მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით ადაპტაციის მკაფიო გამოცდილებას. ამ პროცესის მნიშვნელოვანი შედეგი იყო სასწავლო პროგრამის მოდერნიზაციის გადაწყვეტილება ისეთ მაღალმოთხოვნად სფეროებში სპეციალიზებული კურსების დამატებით, როგორცაა ReactJS, DevOps და ავტომატიზებული ტესტირება (QA). გარდა ამისა, სტუდენტური უკუკავშირის ადმინისტრაციულმა მონიტორინგმა გამოიწვია პრაქტიკული ცვლილებები აკადემიურ კალენდარში, როგორცაა გამოცდების პერიოდის ერთი კვირიდან ორ კვირამდე გახანგრძლივება, რათა უკეთ მოერგოს მომუშავე სტუდენტებს.

სანგუ იყენებს საკადრო მართვის პოლიტიკას, რომელიც მოიცავს აკადემიური და მოწვეული პერსონალის პერიოდულ შეფასებას. ეს მოიცავს საკლასო დაკვირვებების გამოყენებას, რომლებიც ტარდება წინასწარ განსაზღვრული მოდელის მიხედვით. ეს დაკვირვებები სასწავლო პროცესის გაუმჯობესების განმავითარებელ ინსტრუმენტს წარმოადგენს. ამ პროცესის გასაუმჯობესებლად არსებობს შესაძლებლობა, უფრო მკაფიოდ დაუკავშიროთ დაკვირვების შედეგები პროგრამის ინგლისურენოვანი სწავლების მიზნებს, რითაც უზრუნველყოფილი იქნება, რომ ინგლისურენოვან საბაკალავრო პროგრამაში სწავლების ხარისხი შეესაბამებოდეს იმავე პედაგოგიურ სტანდარტებს, რასაც ქართულენოვანი კომპონენტი.

სტუდენტები სისტემატურად აფასებენ თავიანთ კურსებს თითოეული საგნის ბოლოს კითხვარების საშუალებით, რომლებიც განთავსებულია LMS SANGU და Moodle პლატფორმებზე. ეს უკუკავშირი მუშავდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ იმ საკითხების იდენტიფიცირებისთვის, რომლებიც შესაძლოა საჭიროებდეს შინაარსობრივ ან მეთოდოლოგიურ განახლებას. მიუხედავად იმისა, რომ უკუკავშირის მექანიზმი მყარია/მდგრადია, ადგილზე ვიზიტის შედეგები მიუთითებს, რომ ამ შეფასებების ფორმირების ღირებულება შეიძლება გაუმჯობესდეს სტუდენტების უფრო პირდაპირი და დროული წვდომით ციფრული სისტემების მეშვეობით, ვიდრე მხოლოდ ფორმალური გასაჩივრების პროცესის შემდეგ.

პროგრამის განხილვის ციკლი მოიცავს უცხოურ ანალოგიურ პროგრამებთან ყოვლისმომცველ შედარებას. უნივერსიტეტმა ჩაატარა ათ წამყვან საერთაშორისო დაწესებულებაზე სამაგიდო -კვლევა, მათ შორის საარლანდის უნივერსიტეტსა და ჩრდილოეთ კენტუკის უნივერსიტეტზე, რათა დარწმუნებულიყო, რომ პროგრამა შეესაბამება ისეთ გლობალურ სტანდარტებს, როგორცაა ACM IT2017 და CC2020. ეს შესადარებელი/ბენჩმარკინგის პროცესი უზრუნველყოფს, რომ პროგრამის ეფექტიანობა შეფასდეს არა

მხოლოდ ადგილობრივ კონკურენტებთან, არამედ საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკებთან მიმართებითაც.

უნივერსიტეტი პროგრამის ეფექტიანობის შესაფასებლად იყენებს კომპლექსურ ინდიკატორებს, როგორცაა სტუდენტთა პროგრესი, პროგრამის დატოვების მაჩვენებლები და სამიზნე 100%-იანი დასაქმების მაჩვენებელი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- თვითშეფასების ანგარიში
- პროგრამები და სილაბუსები.
- სამუშაო ჯგუფისა და სექტორული/დარგობრივი საბჭოს შეხვედრების ოქმები (N1-N5).
- 10 უცხოური და 5 ადგილობრივი ანალოგიური პროგრამის შედარებითი ანალიზის ანგარიში.
- შრომის ბაზრის კვლევის მონაცემები 20 საჯარო და კერძო დამსაქმებლისგან.
- პერსონალის მართვის პოლიტიკა და თანამშრომელთა შეფასების შაბლონები/ნიმუშები.
- სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის შედეგები და სამიზნე ძირითადი შესრულების ინდიკატორები (KPIs).
- LMS SANGU/Moodle-ის მონაცემები ელექტრონული სწავლების პროცესის მონიტორინგისთვის.
- ინტერვიუების შედეგები.

<p><b>რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:</b></p>	<p><b>რეკომენდაცია(ები):</b> _____ გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რეკომენდაციები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში)</p>	<p><b>რჩევ(ებ)ა:</b> გთხოვთ, გაწეროთ შემუშავებული რჩევები, რომელიც თანაბრად მიემართება კლასტერში დაჯგუფებულ საგანმანათლებლო პროგრამებს. ასევე, მიუთითოთ, ინდივიდუალური პროგრამების მიხედვით (არსებობის შემთხვევაში) (არსებობის შემთხვევაში)</p>
<p>კლასტერის ზოგადი რეკომენდაციები / რჩევები</p>		
<p>პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)</p>		
<p>პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და</p>		

კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)		
--	--	--

### შეფასება

გთხოვთ შეაფასოთ პროგრამების შესაბამისობა სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან

კომპონენტი <u>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</u>	შეფასება
პროგრამა 1 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ქართულენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია
პროგრამა 2 (ინფორმაციული ტექნოლოგიები და კიბერუსაფრთხოება, ინგლისურენოვანი, დონე 6)	შესაბამისობაშია